ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | № 5 (549) | ორშაბათი, 11 იანვარი, 1993 წელი | ფასი 3 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრში გვაცნობეს, რომ 8 იანვრის ღამე მდინარე გუმისთაზე განლაგებული მთელი ფრონტის ხაზზე შედარებით მშვიდად ჩაიარა. ისმოდა მხოლოდ იშვიათი სროლა, აფხაზი სეპარატისტები განსაკუთრებით გააქტიურდნენ 19 საათის შემდეგ.

19 საათსა და 10 წუთზე ქვემო ეშერაში მდებარე ფერმის ტერიტორიიდან მოწინააღმდეგე მხარემ ქვეითთა საბრძოლო მანქანიდან ისროლა 4 ჭურვი. ქართველი მეომრების საპასუხო ცეცხლით მოწინააღმდეგის საბრძოლო მანქანა იძულებული იქნა დაეტოვებინა საბრძოლო პოზიციები.

21 საათზე სოხუმის ზღვის აკვატორიაში შემჩნეულ იქნა გემი, რომელიც მოემართებოდა ქართველი მეომრების პოზიციებისაკენ. მან ქალაქ სოხუმს დაუშინა ცეცხლი — მიუახლოვდა რა ქართულ პოზიციებს 700 მეტრით, საქართველოს შეიარაღებული ძალების სანაპირო დაცვის ნაწილებმა საპასუხო ცეცხლით აიძულეს მოწინააღმდეგე თავის განზრახვაზე ხელი აეღო.

იმავე ღამეს 24 საათსა და 30 წუთზე მოწინააღმდეგე ცდილობდა სოფელ ქვემო ეშერასთან განლაგებული სკოლის ტერიტორიაზე მოეხდინა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის კონცენტრაცია, მაგრამ ქართველმა მეომრებმა საარტილერიო ცეცხლით არ მისცეს ამის საშუალება. წინასწარი მონაცემებით, განადგურებულია მოწინააღმდეგის 1 ქვეითთა საბრძოლო მანქანა. ამის შემდეგ 8-9 იანვრის ღამემ მშვიდად ჩაიარა. წინასწარი მონაცემებით, მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი არ ყოფილა.

რაც შეეხება ოჩამჩირის რაიონს, იქ მთელი დღის განმავლობაში შედარებით სიმშვიდე იყო. მიმდინარეობს იმ ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენითი სამუშაოები, რომელიც დივერსიული აქტის შემდეგ მწყობრიდან გამოიყვანეს აფხაზმა ბოევიკებმა.

9 იანვარს დილიდან მდინარე გუმისთაზე სიმშვიდე იყო შენარჩუნებული.

14 საათისათვის მოწინააღმდეგემ ქვემო ეშერასთან საბრძოლო პოზიციაზე გამოიყვანა ქვეითთა მძიმე საბრძოლო მანქანა და დაიწყო ჩვენი პოზიციების დაბომბვა. საპასუხო სროლის შემდეგ იგი იძულებული გახდა მიმალულიყო.

15 საათისათვის მდინარე გუმისთასთან, იმ მონაკვეთში, სადაც წინა დღეებში აფხაზებმა ჩამოაგდეს რუსეთის თვითმფრინავი, გამოჩნდა ორი — ვერტმფრენი 1 მოიერიშე თვითმფრინავის „სუ-25" თანხლებით. მათ ნახევარი საათი იფრინეს აფხაზთა პოზიციების თავზე და შემდეგ მიიმალნენ გუდაუთის მიმართულებით.

19 საათსა და 30 წუთზე სოხუმში, შუქურას რაიონის თავზე გამოჩნდა ვერტმფრენი და თვითმფრინავი. საქართველოს საჰაერო თავდაცვის ძალებმა გააკეთეს გამაფრთხილებელი გასროლა, რის შემდეგაც ისინი მიიმალნენ. ჩვენი პროტესტის პასუხად რუსმა სამხედროებმა განაცხადეს, რომ ვერტმფრენი და თვითმფრინავი მათ არ ეკუთვნოდათ.

ღამის განმავლობაში აფხაზეთში სიმშვიდე იყო შენარჩუნებული.

იოსებ ბობეჩია.

ამ დღეებში

გვაცნობებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

**ფაქტი
მოვლენა
კომენტარი**

მხარს ვუჭერთ თქვენს ძალისხმევას

ჯორჯ ბუშის წერილი ედუარდ შევარდნაძეს

ძვირფასო ედუარდ,

დიდად შევწუხდი, როდესაც თბილისიდან ჩვენი ელჩის ინფორმაციით შევიტყვე ზამთრის პირობებში ქართველი ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ამბავი. მერწმუნეთ, ნიადაგ ვფიქრობ თქვენზე და ქართველ ხალხზე.

მე ვთხოვე ელჩ რიჩარდ არმითიჯს, ჩამოსულიყო თბილისში თქვენს მთავრობასთან მოსათათბირებლად. ის განსაკუთრებით დაინტერესდა იმ გზების ძიებით, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება საწვავის კრიზისის შემსუბუქება როგორც თქვენს ქვეყანაში, ასევე სომხეთში, სადაც ის ასევე უნდა ჩავიდეს.

დეკემბრის დამდეგს ელჩმა არმითიჯმა საგანგებო მიმართვა გაუგზავნა დიდი შვიდეულის ოფიციალურ პირებს და ევროგაერთიანებას და საწვავის გამოყოფა სთხოვა. შეერთებულმა შტატებმა 5 მილიონამდე დოლარი შესთავაზა სატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად აღნიშნული საწვავის შემოზიდვისთვის, რომელიც თანაბრად გაიყოფა საქართველოსა და სომხეთს შორის. იმედი მაქვს, რომ ევროგაერთიანება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამ დახმარების აღმოჩენის საქმეში.

ამასთან ერთად, შეერთებული შტატები სხვადასხვა ზომებს მიმართავს, რომ დაეხმაროს საქართველოს ამ უკიდურესი გაჭირვების ჟამს. სასწრაფო ჰუმანური და სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით იანვარში განზრახული გვაქვს დაახლოებით 10 მილიონი დოლარის საბავშვო საზრდოს და სხვა საქონლის უსასყიდლოდ შემოზიდვა.

1 თებერვლისთვის გამოვგზავნით 260 ტონა საბავშვო საზრდოს აშშ-ს დიდი კორპორაციისგან. აგრეთვე გამოვგზავნით მილიონი დოლარის საგანგებო სამედიცინო დახმარებას თქვენი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსგან გადმოცემული ნუსხის მიხედვით. ამასთანავე ყველაფერს ვღონობთ იმისთვის, რომ დავაჩქაროთ 100 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი საფურავე ხორბლის გამოგზავნა.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ როგორც პირადად მე, ისე ამერიკელი ხალხი მხარს ვუჭერთ თქვენს ძალისხმევას მშვიდობიანი, დემოკრატიული და აყვავებული საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.

პატივისცემით,

ჯორჯ ბუში.

„ჩვენ არ ვუღალატებთ დემოკრატიისაკენ მიმავალ გზას"

საუბარი ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწესთან

საქართველოს ერთდღიანი ვიზიტად ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანაშემწე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისადმი საგანგებო ჰუმანური დახმარების კოორდინატორი, მისი აღმატებულება ბატონი რიჩარდ არმითიჯი თანმხლებ პირებითურთ.

9 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია მიიღო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველოში ჩამოსვლამდე დელეგაცია იმყოფებოდა ერევანსა და მოსკოვში, გაეცნო ჰუმანურ დახმარებასთან დაკავშირებულ სადღეისო პრობლემებს. ჩვენს რესპუბლიკაში ბატონი არმითიჯის ვიზიტის მიზანიც ჩვენთვის 1993 წელს ჰუმანური დახმარების გაწევის საკითხების განხილვა და საქართველოში არსებული ეკონომიკური ვითარების შესახებ მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაციის მიღება გახლდათ.

ცნობილია, რომ ჰუმანური დახმარების მასშტაბი რაიმე კონკრეტული თანხით არ იფარგლება. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მომავალშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საკვებით, მედიკამენტებით, სამედიცინო ინვენტარით, აგრეთვე საწვავით დახმარებას.

ბატონმა ელჩმა აღნიშნა, რომ აშშ-ს დღევანდელი ადმინისტრაცია, ჩვენთან შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, ცდილობს მაქსიმალურად დაეხმაროს გასაჭირში ჩავარდნილ რესპუბლიკას. იმედი გამოთქვა, რომ ამერიკის ახლად არჩეული ხელმძღვანელობა მომავალშიც გააგრძელებს ამ კურსს.

კეთილგანწყობის დასტურად უნდა აღვიქვათ ის ფაქტი, რომ დეკემბრის დასაწყისში ბატონმა არმითიჯმა საგანგებო მიმართვა გაუგზავნა „დიდი შვიდეულის" ოფიციალურ პირებს და ევროგაერთიანებას საწვავის გამოყოფის შესახებ. შეერთებულმა შტატებმა საწვავის ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარი თანხა თავად გამოყო. ამასთან ერთად აშშ სასწრაფო ჰუმანური და სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით აპირებს დაახლოებით 10 მილიონი დოლარი ღირებულების ბავშვთა საზრდოსა და სხვა საქონლის უსასყიდლოდ შემოზიდვას იანვარში, აგრეთვე 1 მილიონი დოლარი ღირებულების მედიკამენტის, კერძოდ ინსულინის უფასოდ გადმოცემას, 100 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ფქვილის შემოტანას.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაიხადა გაწეული დახმარებისათვის, იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც ამერიკის ხელისუფლება, ამერიკელი ხალხი იჩენს საქართველოსათვის ასეთ მძიმე მომენტში.

შემდეგ საუბარი შეეხო კავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, იმ ეკონომიკურ სიძნელეებს, რაც არსებობს მეზობელ სომხეთში. ელჩმა კმაყოფილებით აღნიშნა საქართველოს ფასდაუდებელი დახმარება სომხეთის მიმართ.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად საკუთარი სიძნელეებისა, საქართველო მომავალშიც გააგრძელებს დახმარებას მეზობელი ქვეყნებისადმი, რომ ჩვენ არ ვუღალატებთ დემოკრატიისაკენ მიმავალ გზას. აღნიშნა აგრეთვე, რომ საქართველოსთვის გაწეული ჰუმანური დახმარება წყალში გადაყრილი როდია, ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა, ბუნებრივი სიმდიდრეები და კლიმატური პირობები იძლევა იმის იმედს, რომ საქართველო მოკლე ხანში ფეხზე წამოდგება და ღირსეულ პარტნიორობას გაუწევს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს, მაგრამ, სანამ ეს სანატრელი დრო დადგებოდეს, სასურველია დასავლეთის სამყარო უფრო აქტიურად ჩაება კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში სტაბილიზაციის მისაღწევად მიმდინარე პროცესებში. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ბრძანა, რომ დიდი იმედი აქვს გაეროს უშიშროების საბჭოს მხარდაჭერისა, აგრეთვე იმისა, რომ რუსეთი გადასინჯავს თავის დღევანდელ პოზიციას საქართველოს რესპუბლიკის მიმართ და საქმე გადაწყვეტილებამდე მივა.

დასასრულ ბატონმა არმითიჯმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და თქვა, რომ საქართველოში მიღებული ინფორმაციით იგი წარსდგება უშუალოდ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის წინაშე.

მიღებას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის სახელმწიფო მრჩეველი გელა ჩარკვიანი, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის თანაშემწე თედო ჯაფარიძე, სხვა ოფიციალური პირები.

დღესვე აშშ დელეგაცია ფრანკფურტს გაემგზავრა.

* * *

სურათზე: შეხვედრის დროს. **სერგო ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

საუბარი დანიის ევროპული მისიის ხელმძღვანელთან

7 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო დანიის ევროპული მისიის ხელმძღვანელი, სახაროვის სახელობის საერთაშორისო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ჰანს ქრისტიან ნეერსკოფი, რომელიც საქართველოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის მოწვევით იმყოფება.

ჰანს ქრისტიან ნეერსკოფმა მიულოცა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს შობა-ახალი წელი და აღნიშნა, რომ მისი ჩამოსვლის მიზანი ერთობლივი ბეჭდვითი პროექტის განხორციელებაა, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა — მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია მეორემ აკურთხა. მან დასძინა, რომ ეს პროექტი ოთხასი ათასი სასკოლო „ახალი აღთქმის" დაბეჭდვას გულისხმობს მომავალი სასწავლო წლისათვის და უსასყიდლოდ გადაეცემა საქართველოს სკოლების მოსწავლეებს. ამ პროექტის დაფინანსებას დანიის მხარე კისრულობს, მის ტექნიკურ განხორციელებას კი საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომავლის სკოლასთან ერთად.

სახელმწიფოს მეთაურმა თავის მხრივ შობა-ახალი წელი მიულოცა დანიის ევროპულ მისიას და აღნიშნა, რომ მიესალმება ქართველი ახალგაზრდობისთვის, სრულიად საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ამ კეთილშობილურ წამოწყებას, მადლობა გადაუხადა ბატონ ჰანს ქრისტიან ნეერსკოფს და წარმატება უსურვა შემდგომ საქმიანობაში.

საბჭოს პირველი სხდომა

10 იანვარს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ახლადშექმნილი საბჭოს პირველი სხდომა.

სახელმწიფოს მეთაურის საბჭოში საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და ეროვნების 16 წარმომადგენელია გაერთიანებული, რომლებიც მოღვაწეობენ კულტურისა და ხელოვნების, მეცნიერების, ეკონომიკისა და სხვა დარგებში.

სხდომის დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: საბჭოს დებულების პროექტის განხილვა და საბჭოს წევრთა ფუნქციების განაწილება. დებულების მიხედვით, ეს არის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო, რომელიც შექმნილია სახელმწიფოს მეთაურის საქმიანობის საკონსულტაციო და საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის, საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის დარგში წინადადებების შემუშავების, რესპუბლიკის მოსახლეობის ყველა ფენასთან, ყველა ეთნიკურ, რელიგიურ და სოციალურ ჯგუფთან სახელმწიფოს მეთაურის მუდმივი ორმხრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისათვის.

მის წინაშე დასახული ამოცანების უკეთ შესრულების მიზნით საბჭო მჭიდრო თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტთან და მის ორგანოებთან, რესპუბლიკის მთავრობასთან, ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქების და რაიონების წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებთან, პოლიტიკურ პარტიებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ეთნოკულტურულ ან სოციალურ-პროფესიულ ჯგუფებთან, საზოგადოების ფართო ფენებთან.

საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს სახელმწიფოს მეთაური, როგორც წესი, თვეში ორჯერ შეიკრიბება.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

მოლაპარაკება შედეგიანი გამოდგა

7 იანვარს საქართველოს სამთავრობო დელეგაცია რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის ბატონ **რომან გოცირიძის** ხელმძღვანელობით მიიღო რუსეთის ფედერაციის მთავრობის ვიცე-პრემიერმა ბატონმა ალექსანდრე შოხინმა. მასთან ერთად რუსეთის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ: რუსეთის ცენტრალური ბანკის ვიცე-პრეზიდენტი სოლოვიოვი, რუსეთის თანამშრომლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მაშიცი, რუსეთის მინისტრთა კაბინეტის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

შეხვედრაზე, რომელმაც რამდენიმე საათს გასტანა, შემუშავებული და პარაფირებულია ხელშეკრულება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესახებ, რომლის თანახმადაც საქართველო დროებით კვლავ რჩება რუბლის ზონაში. მანეთი კვლავაც იქნება გამოყენებული ორივე ქვეყნისათვის ერთიანი საგადამხდელო საშუალება. მოლაპარაკებების შედეგად პრაქტიკულად გადაწყდა რუსეთთან ანგარიშსწორების პრობლემა — ტექნიკური კრედიტის გამოყოფის, ფულის ნიშნებით უზრუნველყოფის საკითხი.

ბატონმა ალექსანდრე შოხინმა საქართველოს დელეგაციას გადასცა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის კეთილი სურვილები, იმედი, რომ ორ ქვეყანას შორის ახლო მომავალში დამყარდება კეთილმეზობლური ურთიერთობა.

ცხადად გამოჩნდა, რომ აუცილებელია მეტი კონტაქტები, შეხვედრები, ურთიერთკონსულტაციები. არ არსებობს პრობლემა, რომლის შესახებაც არ შეიძლებოდეს მოლაპარაკება, მით უმეტეს, ეკონომისტებს შორის, და არც კონსენსუსის მიღწევაა შეუძლებელი.

ბატონები გოცირიძე და შოხინი შეთანხმდნენ უახლოეს მომავალში დაიწყონ მუშაობა დიდი სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულების მოსამზადებლად, რომელიც დაარეგულირებს საქართველოს და რუსეთის შორის სავაჭრო და საბაჟო რეჟიმის ნორმებს, საანგარიშსწორებო, საგადამხდელო, საგარეო ვალების, მომსახურების და სხვა ეკონომიკურ საკითხებს. გამოითქვა მზადყოფნა, ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე მომავალში სავაჭრო წარმომადგენლობების გახსნის შესახებ.

უკვე 10 იანვარს თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა საქართველოს მთავრობის ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც შეხვდება რუსეთის ეკონომიკის სამინისტროს, რუსეთის თანამშრომლობის სახელმწიფო კომიტეტის და სახელმწიფო კორპორაცია „როსკონტრაქტის" ხელმძღვანელობას, მოამზადებს ხელშეკრულებას საქართველოს და რუსეთს შორის 1993 წლის საქონელბრუნვის შესახებ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას" წლეულს 74.824 ხელმომწერი ჰყავს.

გმადლობთ, ჩვენო ერთგულო მკითხველებო! ქვეყნის ეკონომიკური დისტროფიის პირობებში, როდესაც უაღრესად გართულებული და გაძნელებულია ცხოვრება, მიგვაჩნია, რომ ეს ფაქტი, უპირველეს ყოვლისა, თქვენი, ჩვენი მკითხველების და თქვენთან ერთად ჩვენი რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივის ერთობლივი გამარჯვებაა.

ტრადიციამ და გაზეთის კურსმა, რომელიც მიმართულია დემოკრატიის მხარდაჭერის, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და მსოფლიო თანამეგობრობაში მისი ინტეგრაციისაკენ, პიროვნებისა და ერების უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნორმების, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისაკენ, არც ახლა გვიმტყუნა — **ქართველმა მკითხველმა მხარი დაუჭირა ქვეყნის ლეგიტიმურ ხელისუფლებას, მის მიერ არჩეულ პარლამენტს, მთავრობას, სახელმწიფოს მეთაურს საქართველოსთვის ამ უმძიმეს და ურთულეს პერიოდში.**

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია მადლობას გიხდით ყველას, ყველა 74.824 ხელმომწერს ნდობისა და თანადგომისათვის.

კვლავ გიდასტურებთ — გაზეთი თქვენთვის და თქვენით არსებობს.

ამასთან გაცნობებთ, რომ იმათ, ვინც ვერ მოასწრო გაზეთის გამოწერა და სურს, რომ თებერვლიდან მიიღოს იგი, დღევანდელიდან 20 იანვრის ჩათვლით შეუძლია მიაკითხოს კავშირგაბმულობის ნებისმიერ განყოფილებას ხელმოწერის გასაფორმებლად.

საქართველოს რესპუბლიკა

74 ათას 824

ნომერში

- ⊙ რატომ და როგორ დაიღუპა რუსეთის სამხედრო ვერტმფრენი? 2
- ⊙ პროგრესი და პრობლემები ანუ ინტერვიუ თურქული ჟურნალიდან. 3

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოში შექმნილი რთული ვითარების გამო, აგრეთვე პარლამენტის კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებთან კონსულტაციის შესაბამისად:

1. მოწვეულ იქნეს 1993 წლის 12 იანვრიდან საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია.
2. სესიისა და სხდომების დღის წესრიგი განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური

ე. შევარდნაძე.

თბილისი. 1993 წლის 8 იანვარი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე. კანონის მე-6 მუხლი განმეორებით იქნეს განხილული არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა.
2. დაევალოს იურიდიულ კომისიას ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები მოქმედ კანონმდებლობაში ამ კანონიდან გამომდინარე ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

ვ. გოგუაძე.

თბილისი. 1992 წლის 28 დეკემბერი.

სიმართლე კი ასეთია!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება

1993 წლის 7 იანვარს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გადასცეს ცნობა, რომ მდინარე გუმისთის რაიონში აფხაზმა ბოევიკებმა ჩამოაგდეს რუსეთის შეიარაღებული ძალების სუ-25 სამხედრო თვითმფრინავი. ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით, აფხაზმა ბოევიკებმა ჩამოაგდეს აგრეთვე რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთი ვერტმფრენი. იმის მიუხედავად, რომ რუსეთის მხარე გულმოდგინედ მალავს თვითმფრინავისა და ვერტმფრენის ეკიპაჟთა წევრების დაღუპვის ფაქტს, უარყოფს კიდეც თავის მონაწილეობას ამ ინციდენტში, გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ჩამოგდებული სუ-25 თვითმფრინავი, ორივე ვერტმფრენი, და მათი ეკიპაჟები ეკუთვნით ქალაქ გუდაუთაში დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს.

თამაზ ნადარეიშვილი,

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

სამუსიკო სკოლის აღსადგენად

„საქართველოს რესპუბლიკის" 1992 წლის 29 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა მუსიკათმცოდნე ნანა ქავთარაძის წერილი „ნუთუ ესლა გვაქვს, ვხედავთ რასაცა?!", რომელიც თბილისის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის პირველი სამუსიკო სასწავლებლის შეჭირვებულ მდგომარეობას, მისი შენობის აღდგენის გაჭიანურებას შეეხებოდა.

აღნიშნული პუბლიკაცია განიხილა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა **თენგიზ სიგუამ**, მიიჩნია, რომ თბილისის პირველი სამუსიკო სასწავლებლის შენობის აგების საკითხი აუცილებლად გადასაწყვეტია, და დაავალა რესპუბლიკის კულტურის მინისტრს დავით მაღრაძეს ამ პრობლემის მოგვარება. ამასთან, თუ საჭიროება მოითხოვს, კულტურის მინისტრი შესაბამის წინადადებებს წარადგენს მთავრობაში გადაწყვეტილების მისაღებად.

ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს მომავალი

თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

⊙ **ომის**, შრომის და შეიარაღებული ძალების მრავალი ვეტერანის სურვილის გათვალისწინებით თბილისის ვეტერანთა საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა:

— საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ფონდში ყველა ვეტერანმა, ვისაც მატერიალური შესაძლებლობა აქვს, ამ ფონდში ჩარიცხოს ყოველთვიურად ხელფასიდან ან პენსიიდან ერთი პროცენტი.

⊙ **სახელმწიფო** საწარმოო გაერთიანება „წყალმშენის" აპარატმა და მის შემადგენლობაში შემავალმა ორგანიზაციებმა 1992 წელს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში გადარიცხეს ორი მილიონ ექვსას ოცდაათი ათასი მანეთი, ამის გარდა, გაერთიანების ორგანიზაციებმა და საწარმოებმა რესპუბლიკის თავდაცვის საჭიროებისათვის ანაზღაურების გარეშე შეასრულეს სხვადასხვა სახის სამუშაოები, დაამზადეს და გადასცეს სხვადასხვა მოწყობილობანი, რადიოგადამცემი სადგურები, მექანიზმები და ტექნიკა. საერთო ღირებულება — 600 ათასი მანეთი.

გადარიცხვები თავდაცვის ფონდში გრძელდება.

⊙ **საქართველოს** რესპუბლიკის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს კოლექტივმა თავისი საპრემიო თანხა — ოცდაათი ათასი მანეთი გადარიცხა ეროვნული თავდაცვის ფონდში.

⊙ **საქართველოს** რკინიგზის გორის სადგურის კოლექტივმა (უფროსი მიხეილ ჩიხლაძე) თავდაცვის ფონდში გადარიცხა 17500 მანეთი.

⊙ **ზარზმის** ბორჯომის მინის ტარის ქარხნის (დირექტორი გოდერძი კურტანიძე) მშრომელებმა თავდაცვის ფონდში 250 ათასი მანეთი გადარიცხეს.

ამ დღეებში ამ თანხას მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან გადარიცხული 82 ათასი მანეთი შეემატა.

1992 წლის ბოლომდე მინისტარელებმა თავდაცვის ფონდში დამატებით 300 ათასი მანეთი შეიტანეს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონმდებლობა საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ

საქართველოს პარლამენტში არჩეული დეპუტატის — პარლამენტის წევრის სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ", ეს კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 2. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადა

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება პარლამენტის მიერ მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახლადარჩეული პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის დღეს ან ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

დაუშვებელია პარლამენტის წევრის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა.

მუხლი 3. პარლამენტის წევრის მოწმობა და სამკერდე ნიშანი

პარლამენტის წევრი თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში სარგებლობს პარლამენტის წევრის მოწმობით და სამკერდე ნიშნით, რომელთა დებულებას, ნიმუშებსა და აღწერილობას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

მუხლი 4. პარლამენტის წევრის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან

პარლამენტის წევრი იმავდროულად არ შეიძლება ეწეოდეს სხვა მუდმივ ანაზღაურებით სამსახურს, მსახურობდეს სამხედრო ან გასამხედროებულ ფორმირებაში. პარლამენტის წევრი მისი უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან თავისუფლდება ადრე დაკავებული თანამდებობიდან.

გამონაკლისის სახით პარლამენტის წევრს იმავდროულად შეიძლება:

ა) ეკავოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა;

ბ) იყოს ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი;

გ) ეწეოდეს სხვა სამსახურს, თუ ეს არის სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობა, ანდა უკავშირდება მის პარტიულ მოღვაწეობას.

მუხლი 5. პარლამენტის წევრის მანდატი

პარლამენტის წევრი მთელი ხალხის წარმომადგენელია პარლამენტში და სარგებლობს თავისუფალი მანდატით. თავისი მოვალეობის შესრულებისას იგი შეზღუდული არ არის ამომრჩეველთა და მისი წარმდგენი პოლიტიკური ორგანიზაციების განაწესებითა და დავალებებით.

მუხლი 6.

მუხლი 7. პარლამენტის წევრის ურთიერთობა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებთან

პარლამენტის წევრს უფლება აქვს მონაწილეობდეს სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის რესპუბლიკური თუ ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით. იგი, როგორც მთელი ხალხის წარმომადგენელი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, თავის სტატუსს იყენებს ადამიანის უფლებათა, თავისუფლებათა, კანონიერებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 8. საპარლამენტო ფრაქციებში პარლამენტის წევრთა გაერთიანების უფლება

საერთო-პოლიტიკური თუ სხვა ინტერესების შესაბამისად პარლამენტის წევრებს შეუძლიათ გაერთიანდნენ და შექმნან საპარლამენტო ფრაქციები.

საპარლამენტო ფრაქციების შექმნისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

მუხლი 9. პარლამენტის წევრის ზნეობრივი ქცევის ნორმები

პარლამენტის წევრის მიერ ზნეობრივი ქცევის ნორმების დარღვევისას საკითხს განიხილავს პარლამენტის სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისია.

პარლამენტს, რომელიც განიხილავს მითითებულ საკითხზე კომისიის წინადადებას, შეუძლია პარლამენტის წევრს გამოუცხადოს შენიშვნა, საყვედური ან გაკიცხვა. დადგენილება მიიღება ფარული კენჭისყრით, პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედით.

მუხლი 10. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

პარლამენტის წევრის უფლებამოსილება შეწყდება პარლამენტის მიერ მისი იმ თანამდებობაზე დანიშვნის, არჩევის ან დამტკიცებისთანავე, რომელიც შეუთავსებელია პარლამენტის წევრის სტატუსთან. სხვა შემთხვევებში პარლამენტის წევრის უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ პარლამენტის მოტივირებული დადგენილებით პარლამენტის წევრის მიერ უფლებამოსილების მოხსნის, მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის არსებობის, სასამართლო წესით მისი ქმედუუნაროდ აღიარების შემთხვევაში, აგრეთვე იმ თანამდებობაზე არჩევისა და დანიშვნისას, რომელიც კანონით შეუთავსებელია პარლამენტის წევრის სტატუსთან.

თავი II

პარლამენტის წევრის საქმიანობა პარლამენტსა და მის ორგანოებში

მუხლი 11. პარლამენტის წევრის მონაწილეობა პარლამენტის სხდომებში

პარლამენტის წევრები კანონით დადგენილი წესით პარლამენტის სხდომებზე იხილავენ და წყვეტენ ყველა იმ საკითხს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების გამგებლობას განეკუთვნება.

პარლამენტის წევრი ვალდებულია ესწრებოდეს პარლამენტის სხდომებს; იმ შემთხვევაში, თუ მას არა აქვს პარლამენტის სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა, ამის შესახებ უნდა აცნობოს პარლამენტის სპიკერს ან მის მოადგილეს.

თუ პარლამენტის წევრი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გააცდენს სამ სხდომას, სპიკერი უცხადებს გაფრთხილებას; გაფრთხილებიდან ოთხი სხდომის გაცდენის შემთხვევაში პარლამენტის წევრს დაუკავებენ ერთი თვის ხელფასს. ეს გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 12. პარლამენტის წევრის უფლებამოსილება პარლამენტის სხდომაზე

პარლამენტის წევრი მონაწილეობს ყველა იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომელიც პარლამენტის სხდომაზე იხილება.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს პარლამენტის ორგანოებში;

ბ) გამოთქვას აზრი პარლამენტის მიერ შესაქმნელი ორგანოების, მათი პერსონალური შემადგენლობისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს ან ამტკიცებს პარლამენტი;

გ) დასვას საკითხი პარლამენტის განსახილველად;

დ) შეიტანოს შენიშვნა ან წინადადება პარლამენტის დღის წესრიგისა და გათვალისწინებულ საკითხთა განხილვის წესისა თუ არსის გამო;

ე) შეიტანოს წინადადებანი პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ან თანამდებობის პირის ანგარიშისა თუ ინფორმაციის მოსმენის შესახებ;

ვ) კანონით დადგენილი წესით დასვას საკითხი პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირისადმი ნდობის შესახებ;

ზ) შეიტანოს წინადადება პარლამენტის კომპეტენციაში შემავალ ყოველ საკითხზე საპარლამენტო გამოძიების ჩატარების შესახებ;

თ) მონაწილეობდეს კამათში, შეკითხვის წესით დააყენოს საკითხები, შეეკითხოს მომხსენებელს და სხდომის თავმჯდომარეს, მოითხოვოს პასუხი და მისცეს მას შეფასება;

ი) წამოაყენოს წინადადებები კანონების, დადგენილებებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებში შესწორებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

კ) პარლამენტის სხდომას გააცნოს მოქალაქეთა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე წერილები და მიმართვები;

ლ) კამათში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს თავისი გამოსვლის ტექსტი, აგრეთვე წერილობით ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები პარლამენტის სხდომაზე განსახილველი საკითხის თაობაზე.

მ) გაეცნოს თავისი გამოსვლების ტექსტებს პარლამენტისა და მისი ორგანოების სხდომათა სტენოგრამებსა და ოქმებში შეტანამდე, აგრეთვე მიიღოს იმ გამოსვლების ტექსტები, რომლებიც არ ქვეყნდება.

დაუშვებელია პარლამენტის წევრის ნებისმიერი ფორმით დევნა პარლამენტის სხდომაზე გამოთქმული აზრისა თუ წარმოდგენილი საპარლამენტო დოკუმენტის გამო.

პარლამენტის წევრს პლენარულ ან კომისიის სხდომაზე გამოთქმული აზრის კენჭისყრისას მიცემული ხმის და წარმოდგენილი საპარლამენტო დოკუმენტის გამო არ შეიძლება მოეთხოვოს პასუხი არც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

მუხლი 13. პარლამენტის წევრის საკანონმდებლო ინიციატივის უფლება

პარლამენტის წევრს უფლება აქვს საკანონმდებლო ინიციატივის წესით პარლამენტში შეიტანოს კანონპროექტი ან წინადადება მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, რაც განიხილება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 14. პარლამენტის წევრის მიერ შეკითხვის წესით საკითხის დასმა

პარლამენტის წევრს უფლება აქვს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების წინაშე დასვას საკითხი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებებისა და სხვა აქტების დარღვევის გამო, აგრეთვე დასვას შეკითხვა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვა საკითხებზე.

პარლამენტის წევრი შეკითხვის წესით საკითხს აყენებს ზეპირად ან წერილობით.

ყველა ორგანო და თანამდებობის პირი, რომელსაც პარლამენტის წევრმა შეკითხვით მიმართა, ვალდებულია 10 დღის ვადაში უპასუხოს მას წერილობით ან პასუხი გასცეს პარლამენტის სხდომაზე, თუ ამას მოითხოვს პარლამენტის წევრი, ხოლო სესიებს შორის პერიოდში წერილობით უპასუხოს უშუალოდ პარლამენტის წევრს, აგრეთვე პარლამენტის აპარატს.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს მისცეს შეფასება შეკითხვაზე მიღებულ პასუხს.

მუხლი 15. პარლამენტის წევრის საქმიანობა პარლამენტის ორგანოებში

პარლამენტის წევრი ვალდებულია იყოს პარლამენტის ერთი ან ორი მუდმივი კომისიის შემადგენლობაში და მონაწილეობდეს მის მუშაობაში. ეს წესი არ ვრცელდება პარლამენტის თავმჯდომარეზე, მის მოადგილეებზე, პარლამენტის სპიკერზე, მის მოადგილეებზე, პრემიერ-მინისტრზე.

პარლამენტის წევრს, რომელიც არ შედის პარლამენტის ორგანოების შემადგენლობაში, უფლება აქვს მონაწილეობდეს მათ სხდომებში, შეიტანოს წინადადებები და მონაწილეობა მიიღოს საკითხების განხილვაში სათათბირო ხმის უფლებით.

მუხლი 16. პარლამენტის წევრის მონაწილეობა პარლამენტის და მისი ორგანოების დავალებათა შესრულებაში

პარლამენტის ან მისი ორგანოების დავალებით პარლამენტის წევრი მონაწილეობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესრულების შემოწმებაში.

შემოწმების შედეგებს პარლამენტის წევრი მოახსენებს პარლამენტს ან მის ორგანოებს და წარადგენს წინადადებებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. პარლამენტის წევრს უფლება აქვს უარი განაცხადოს ასეთი დავალების შესრულებაზე.

თავი III

პარლამენტის წევრის საქმიანობის გარანტიები

მუხლი 17. საკანონმდებლო ინიციატივის უფლების განხორციელების გარანტიები

პარლამენტის წევრის საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას უზრუნველყოფს საკანონმდებლო ინიციატივის წესით შეტანილი წინადადების ან კანონპროექტის სავალდებულო განხილვა და კენჭისყრით გადაწყვეტა.

მუხლი 18. პარლამენტის წევრის უფლება დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული თანამდებობის პირის მიერ

სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით პარლამენტის წევრი სარგებლობს უფლებით შეუფერხებლად შევიდეს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და დაუყოვნებლივ იქნეს მიღებული თანამდებობის პირთა მიერ.

მუხლი 19. პარლამენტის წევრის მიერ ინფორმაციის მიღების უფლება

საქართველოს პარლამენტის აპარატი უზრუნველყოფს პარლამენტის წევრს პარლამენტისა და მისი ორგანოების დოკუმენტებით, აგრეთვე მინისტრთა კაბინეტის, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ოფიციალურად გავრცელებული საინფორმაციო და საცნობარო მასალებით.

ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე თანამდებობის პირნი ვალდებული არიან საპარლამენტო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე პარლამენტის წევრი უზრუნველყონ სპეციალისტთა კონსულტაციებით, ტექნიკური საშუალებებით, დაუყოვნებლივ მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია, საშუალება მისცენ ისარგებლოს გასამრავლებელი და გამომთვლელი ტექნიკით, კავშირისა და ინფორმაციის თანამედროვე საშუალებებით.

მუხლი 20. პარლამენტის წევრთათვის იურიდიული დახმარების გაწევა

ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, საწარმოთა და ორგანიზაციათა ადმინისტრაცია, აგრეთვე იურიდიული დაწესებულებები დახმარებას უწევენ პარლამენტის წევრს სადეპუტატო საქმიანობისას წამოჭრილი სამართლებრივი საკითხების მოგვარებაში.

მუხლი 21. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება

პარლამენტის წევრებს, რომელნიც არ არიან ჩაწერილნი ქ. თბილისში და არა აქვთ საცხოვრებელი ბინა, პარლამენტის უფლებამოსილების მთელ პერიოდში ბინის დაქირავების ხარჯებისათვის პირადი განცხადების საფუძველზე პარლამენტის აპარატის ბუღალტერიიდან ნაღდი ანგარიშსწორებით ყოველთვიურად მიეცემათ თანხა მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობით. პარლამენტის იმ წევრებს, რომელთაც სურთ სასტუმროში ცხოვრება, ხარჯებს უნაღდო ანგარიშსწორებით აუნაზღაურებს პარლამენტის აპარატის ბუღალტერია.

პარლამენტის წევრს შეუნარჩუნდება უფლება საცხოვრებელ ფართზე მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას.

პარლამენტის ყველა წევრს თავისი უფლებამოსილების განხორციელებლად გაწეული ხარჯების ანაზღაურებისათვის ყოველთვიურად ეძლევა თანხა მინიმალური ხელფასის სამმაგი ოდენობით.

მუხლი 22. პარლამენტის წევრის შრომითი უფლებების გარანტიები

პარლამენტის წევრს, თუ იგი მუშაობდა სახელმწიფო დაწესებულებაში სადეპუტატო უფლებამოსილების დამთავრების შემდეგ ამ მის მიერ სადეპუტატო უფლებამოსილების მოხსნის შემთხვევაში ეძლევა წინანდელი თანამდებობა, ხოლო, თუ ასეთი არ არის, სხვა მისი ტოლფასი სამუშაო ამავე ან მისი თანხმობით სხვა უწყებაში.

პარლამენტის წევრის პარლამენტში მუშაობის დრო ჩაითვლება სპეციალობით მუშაობის საერთო უწყვეტ სტაჟად.

პარლამენტის წევრად არჩევა არ იწვევს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კავშირებში წევრობის შეწყვეტას.

მუხლი 23. პარლამენტის წევრის უფასო მგზავრობის უფლება

პარლამენტის წევრი საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სარგებლობს ყველა სახის სახელმწიფო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) უფასო მგზავრობისა და სამგზავრო დოკუმენტის რიგგარეშე შეძენის უფლებით.

მუხლი 24. პარლამენტის წევრის ხელშეუხებლობა

პარლამენტის წევრი არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააკავონ, დააპატიმრონ, გაჩხრიკონ ან სასამართლო წესით შეუფარდონ ადმინისტრაციული სახდელი პარლამენტის თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას დანაშაულის ჩადენაზე წაასწრეს. ეს შემთხვევა დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს.

პარლამენტის წევრის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს.

პარლამენტის წევრის ბრალდების საქმეს იხილავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტების გამო, რომლებიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. ეს უფლება არ ეკარგება მაშინაც, როცა პარლამენტის წევრად აღარ ითვლება.

დაუშვებელია პარლამენტის წევრის იძულებით მიყვანა, მისი პირადი ნივთების, ბარგის, ტრანსპორტის, საცხოვრებელი ან სამუშაო სადგომების ჩხრეკა თუ შემოწმება, აგრეთვე სატელეფონო საუბრების მოსმენა.

პარლამენტის წევრი საზღვარგარეთ მგზავრობისას სარგებლობს დიპლომატიური პასპორტით.

მუხლი 25. პარლამენტის წევრის პასუხისგებაში მიცემაზე თანხმობის მიღების წესი

პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრების ან მის მიმართ სასამართლო წესით ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებისათვის პარლამენტის თანხმობის მისაღებად საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს პარლამენტში შეაქვს წარდგინება, რაც განიხილება 10 დღის ვადაში. საკითხის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვს პარლამენტის წევრს, რომლის გამო შეტანილია წარდგინება. პარლამენტი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას და სამი დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, რომელიც ვალდებულია საქმის წარმოების დამთავრებისთანავე შეატყობინოს პარლამენტს საქმის გამოძიების ან განხილვის შედეგი.

მუხლი 26. პასუხისმგებლობა პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

სახელმწიფო უზრუნველყოფს პირობებს პარლამენტის წევრის მიერ უფლებამოსილების დაუბრკოლებელი განხორციელებისათვის, იცავს მის უფლებებს, სახელსა და ღირსებას. საჭიროების შემთხვევაში, პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე, სახელმწიფო იღებს ზომებს მისი პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

პირებს, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს პარლამენტის წევრის წინაშე, უგულებელყოფენ დეპუტატის უფლებამოსილებას, ხელს უშლიან მუშაობაში, აწვდიან მცდარ ინფორმაციას, არღვევენ პარლამენტის წევრის საქმიანობის გარანტიებს, ეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.
საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 28 დეკემბერი.

გარემოებათა ანალიზი გვიჩვენებს

ტყვარჩელ-გუდაუთის საჰაერო რეისი: ჰუმანურის ნაცვლად ტრაგიკული

რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენის კატასტროფა აფხაზეთში, რომელმაც რამდენიმე ათეული ადამიანი შეიწირა, ანტიქართული ისტერიის საშუალება გახდა, რუსეთის რეაქციული წრეები რომ აჩაღებენ. ისინი, თუმცა არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არა აქვთ, მომხდარ ტრაგედიაში ცალსახად აფხაზეთში დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარებს ასახელებენ. არადა, ვერტმფრენის დაღუპვის გარემოებათა ანალიზი, რომელიც საქინფორმს მისცა სამხედრო მრჩეველთა ჯგუფის წევრმა **ვლადიმერ ჩიქოვანმა**, სულ საწინააღმდეგო ხასიათის დასკვნის გამოტანის საფუძველი გახდეს.

„მინდა წაგიკითხოთ დამაზუსტებელი ცნობა", — თქვა ცენტრალური ტელევიზიით ჟურნალისტებთან შეხვედრაზე თავდაცვის მინისტრმა, არმიის გენერალმა პ. გრაჩოვმა. „გულრიფშის რაიონის სოფელ ლატასთან № 03 ნიშნიან მი-8 ვერტმფრენის ტრაგიკული დაღუპვის მეორე დღეს.

„ეკიპაჟის სამი წევრი და 36 მგზავრი, ძირითადად ქალები და ბავშვები, დაიღუპნენ" — მოვისმინეთ ტელევიზორის ეკრანიდან. შემდგომში კომისია დააზუსტებს და თავის აქტებში ჩაწერს: ეკიპაჟის სამი წევრი და 61 მგზავრი — რაც 25 დაღუპულით მეტია იმაზე, ვიდრე მინისტრმა ტელეჟურნალისტებს უთხრა. ტრაგედია დიდია, და უხერხულიც არის რაღაც ციფრების გამოდევნება, ეს ციფრები რომ მომხდარი ტრაგედიის ერთ-ერთ განმარტებად არ იყოს მიჩნეული. მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით.

არ გაერკვა რა მომხდარ ამბავში. გენერალმა პ. გრაჩოვმა „მაშინვე" გასცა ბრძანება ჰაერში აფრენილიყვნენ მოიერიშეები, რომლებიც ცეცხლს უშენენ საცეცხლე წერტილებს ტამიშის დასახლებული პუნქტის რაიონში. საიდანაც თითქოსდა გაუშვათ „დედამიწა—ჰაერის" რაკეტა, რომელმაც ჩამოაგდო ვერტმფრინავი მგზავრებითურთ. დაღუპულთა რიცხვი მეტიც შეიძლება ყოფილიყო. საცეცხლე წერტილები რომ არ გამოეგონებინათ სოფელ ტამიშის რაიონში. პ. გრაჩოვის სამსახურებს. საკითხავია: მაინც რამდენი საცეცხლე წერტილი იყო და რა სახეობის ზენიტსაწინააღმდეგო საშუალებას შეეძლო მიეღწია საჰაერო მიზნამდე მანძილზე ტამიშიდან სოფელ ლატამდე? თითქმის — კილომეტრი, ამასთან საჰაერო მიზანი კონტროლის ქედის გაღმა იმყოფებოდა, რომლის სიმაღლეა ზღვის დონიდან 1100-დან 1700 მეტრამდე. ცნობილია, რომ გადასატანი ზენიტსაწინააღმდეგო კომპლექსები მოქმედებენ 4.2 კილომეტრამდე. ამასთან მათ შეუძლიათ დააზიანონ ის საჰაერო მიზნები, რომელთა დანახვა ვიზუალურად შეიძლება. სტაციონარებზე კი ლაპარაკიც ზედმეტია, საქართველოს არმიას ისინი არა აქვს. ამიტომ ამ ზონაში დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ვერტმფრენის დაღუპვასთან. ასეთ შემთხვევაში ვის ურტყამდნენ რუსეთის მოიერიშენი?

ტრაგედიის უნებური მოწმენი სოფელ ლატის მშვიდობიანი მცხოვრებნი მას თავიდან ბოლომდე უყურებდნენ: ჰაერში ცეცხლწაკიდებულ ვერტმფრენს, რომელიც ძირს ეშვებოდა, და აფეთქებას — მისი ჩამოვარდნის შემდეგ. და ყოველივე ეს ხდებოდა ქართული საჯარისო ქვედანაყოფების დისლოკაციის ადგილებიდან — 20 კილომეტრზე, ხოლო აფხაზურისაგან — 15 კილომეტრზე.

მაინც, რატომ აღმოჩნდა იმ ადგილებში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ვერტმფრენი? იქნებ იქ სიახლოვეს, ან ქალაქ ტყვარჩელში არიან საჯარისო ნაწილები, რომლებთანაც კავშირი უნდა იყოს დამყარებული ასეთ შემთხვევაში. ირკვევა, რომ იქ რუსეთის საჯარისო ნაწილები არ არის და არც ყოფილა. ვინ გაგზავნა მაინც ვერტმფრენები?

პ. გრაჩოვის ცნობა მოწმობს: ვერტმფრენები ასრულებდნენ რეისებს „საქართველოსა და აფხაზეთს შორის კონფლიქტის მოწესრიგების სამშვიდობო ძალების ოპერატიული ჯგუფის სარდლობის გეგმით". მაინც რა სამშვიდობო ძალები არიან, რომლებიც უცნობია საქართველოს მთავრობისათვის? საიდან გაჩნდნენ ისინი? რა იურიდიული შეთანხმების საფუძველზე მოქმედებენ? სამაჩაბლოს რეგიონში — გასაგებია, არის სამმხრივი შეთანხმება, რომლის საფუძველზე შეყვანილია სამშვიდობო შეიარაღებული ძალები, აფხაზეთში?

და კიდევ ერთი კითხვა გვინდა დავუსვათ რუსეთის თავდაცვის მინისტრს. რატომ არ იყო თქვენს მიერ დასახელებული სამშვიდობო ძალების ოპერატიული ჯგუფის სარდლობის გეგმა, რომლითაც ვერტმფრინავები ჰუმანიტარული დახმარებით ტყვარჩელში გაფრინდნენ, შეთანხმებული სოხუმის ავიასადისპეტჩერო სამსახურთან? და ბოლოს, რატომ უნდა გაეწიოთ ტყვარჩელის მცხოვრებლებს დახმარება ფარულად და სუვერენული რესპუბლიკის საჰაერო სივრცის დარღვევით? საყოველთაოდ ცნობილია, რომ ასეთი რეისები უნდა იყოს საჯარო. ისინი უნდა იცოდნენ მეომარმა მხარეებმა და ხორციელდებოდეს ყოველგვარი ღონისძიებანი მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ცეცხლიც კი უნდა წყდებოდეს.

სამხედრო მფრინავებს ტრასის გარეშე ფრენის უფლება აქვთ, ნათქვამია „საჰაერო სივრცეში ფრენის ძირითად წესებში"..., მაგრამ ეს აუცილებლად უნდა შეუთანხმონ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სადისპეტჩერო სამსახურს და რომ, ტრასის გარეშე ფრენის შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობა უსაფრთხოებისათვის ეკისრებათ მის ორგანიზატორებს. სწორედ ამით უნდა ხელმძღვანელობდნენ და არ იქმნებოდნენ თავის გასამართლებლად რაღაც „საცეცხლე წერტილების ტერიტორიაზე, რომელსაც კონტროლს უწევენ საქართველოს შეიარაღებული ფორმირებანი". სხვათა შორის, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების არც ერთ რეისს, რომელიც ჰუმანიტარული მისიით სრულდება კანონიერ ტრასებზე და სოხუმის ავიასამსახურის კონტროლით, არ ჰქონია ამგვარი პრეცედენტი, თუმცა იყო შემოწმებებიც, ეჭვმიტანილ პირთა დაკავებაც, მფრინავებისათვის სხვა არასასურველი მომენტები ი. ც. მაგრამ არა ყოფილა ტრაგედიები.

ქალაქ ტყვარჩელის მცხოვრებთა მდგომარეობა ძნელია, მათ დახმარება აუცილებლად სჭირდებათ, ისევე როგორც ქალაქ სოხუმის მცხოვრებლებს, სადაც ვითარება გაცილებით უარესია: იწვება სახლები, ქუჩებში ფეთქდება ჭურვები, ბევრია ლტოლვილი, რომლებიც უნდა და, ალბათ, ქალაქებში ქუთაისში, თბილისში და ა. შ.

უპრიანია ვკითხოთ ბატონ გენერალს: რატომ არ ეხმარებით სოხუმელებს? რატომ ატარებს თქვენი სამშვიდობო დახმარება ცალმხრივ, აფხაზურ მიმართულებას? ქალაქ ტყვარჩელში ლტოლვილები არიან. ქალაქ გაგრაში, სოხუმში კი არ არიან ისინი? ამჟამად ცნობილია დაღუპულთა — 61 მგზავრისა და ეკიპაჟის სამი წევრის სიები. სიტყვა საკმარისი არ არის ამ ადამიანური ტრაგედიის აღსაწერად. ამ სიაში არიან ბავშვები, ქალები, მამაკაცები. იქვე იყო დაჭრილი სამხედრო მოსამსახურე სერგეევი რუსეთიდან და ვინმე ადილე ფილიქსი. მას უეჭველად დააპატიმრებდნენ ქალაქ სოხუმის აეროპორტში შემოწმებისას, ეს რომ მომხდარიყო. ამიტომ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ჰუმანური დახმარების ორგანიზატორებს ეშინიათ ასეთი შემოწმებების, და ამიტომაც აწყობენ ფარულ ტრასის გარეშე ფრენას კოდორის ქედის გაღმა.

დავუბრუნდეთ მგზავრთა რაოდენობას ამ ვერტმფრენში და ვიფიქროთ შემდეგ მონაცემებზე. ამ ტიპის ვერტმფრენის შიდა ფართობი 12,5 კვადრატული მეტრია. ბევრ ჩვენგანს ბინის საზომით წარმოუდგება პატარა ოთახი — თორმეტმეტრიანი ოთახი. შევეცადოთ მასში მოვათავსოთ 61 კაცი ბარგითურთ, რომელთა ხელბარგი თითოეულისა 15 კილოგრამს მაინც იწონის. აგრეთვე 200 კილოგრამი ტექნიკური ტვირთი. შეიძლება ასეთი რამ? და რამდენად ადამიანურია ეს?

— და მაინც, თუ დავუშვებთ, რომ ვერტმფრენს კატასტროფა შეემთხვა არა გადამეტტვირთვის მიზეზით. შეიძლება იმის ვარაუდი, რომ მას ჩამოაგდებდა მარტოდ მოქმედი რომელიმე „ბოევიკი"?

რა თქმა უნდა, თუ მას შესაბამისი იარაღი ექნებოდა. სხვათა შორის, ასეთი გამოცდილება უკვე შეიძინეს აფხაზმა „ბოევიკებმა", რომელთა ანგარიშზეა საქართველოს შეიარაღებული ძალების რამდენიმე ჩამოგდებული საფრენი აპარატი — ერთი სუ-25 მოიერიშე, ორი მი-8 ვერტმფრენი და ერთი მი-24 საბრძოლო ვერტმფრენი. რაც შეეხება საქართველოს ჯარებს, მათ ჯერაც არ ჩამოუგდიათ მოწინააღმდეგის არც ერთი საჰაერო ხომალდი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ექსპერტიზის დროს ჩამოგდებულ ვერტმფრენზე აღმოჩენილი არა ყოფილა გამჭოლი მოხვედრება, რაკეტის საწვავისა და ნებისმიერი ტიპის ჭურვის ასაფეთქებელი ნივთიერების დამწვის ანაშრევები. არ არის აგრეთვე ვერტმფრენის კონსტრუქციათა ვრცელი მიმონაბნევი მისი უწესრიგო ჩამოვარდნის შედეგად.

ავიატექნიკურმა ექსპერტიზამ დაადასტურა 1090 კილოგრამი კომერციული გადამეტტვირთვა, რამაც საჰაერო ხომალდს მოუსპო სიმძლავრის მარაგი, აიძულა ძრავას ემუშავა მაქსიმალური რეჟიმით და, როგორც შედეგი, მოჰყვა კიდეც ხანძარი და კატასტროფა.

მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. 61 კაცმა, რომელთა შორის იყო 23 ბავშვი და 20 ქალი, ჩაჰეჭყილი რომ იხსდა ვერტმფრენის ვიწრო დახშულ სივრცეში, როგორც ტროლეიბუსში, დაარღვია ფრენის საერთაშორისო წესებით დადგენილი უსაფრთხოების ელემენტარული ნორმები, შექმნა მათი დაღუპვის ასპროცენტიანი წანამძღვარი. არადა, საზოგადოებრიობას აცნობებენ ვერტმფრენი სამშვიდობო მისიას და ჰუმანურ რეისს ასრულებდაო. რა თქმა უნდა, დახმარება საჭიროა, მაგრამ ეს რიგიანად უნდა გაკეთდეს, ბატონო სამხედროებო. მით უმეტეს, რომ ქალაქ ტყვარჩელში არ ყოფილა საბრძოლო მოქმედება ან ისეთი ექსტრემალური სიტუაცია, რომლის დროს ასე საჩქაროდ და ყოველნაირ ფასად ამდენი ადამიანის გახიზვნა ყოფილიყოს საჭირო.

ბატონო მინისტრო! ეს დარღვევები სულაც არ არის იმ ეკიპაჟის თვითნებური მოქმედების შედეგი, რომელმაც ტყვარჩელში და შემდეგ უკან გუდაუთაში გაფრენა მოინდომა, არამედ ეს არის სამხედრო ვერტმფრენების ფარული მასობრივი რეისების მოფიქრებული და ორგანიზებული სისტემა თავისი რადიოკავშირით, რომელიც გამოირჩევა სოხუმის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის რადიოკავშირისაგან, და რომელსაც ჰყავს ფრენის ხელმძღვანელი გუდაუთაში.

კოდორის ქედის გაღმიდან, რომელსაც ეფარებოდნენ ჰუმანიტარული დახმარების ეს ვერტმფრენები, გაძნელდებოდა რადიოკავშირის დამყარება გუდაუთის აეროდრომთან. ამიტომ ჰაერში როგორც რეტრანსლატორი დაფრინავდა წინასწარ გაგზავნილი სუ-25 მოიერიშე. სხვათა შორის, სწორედ მან „მაშინვე" დაუშინა ცეცხლი ვერტმფრენის კატასტროფისთანავე ქართული ჯარების მოჩვენებით საცეცხლე წერტილებს. ოლტაცებაში მოგიყვანს ასეთი ორგანიზაცია! ვერტმფრენის კატასტროფის ფაქტის გამო ავიატექნიკური ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამია, რომ ეკიპაჟის მოქმედებისა და შტატგარეშე სიტუაციებისადმი ობიექტური კონტროლის სამიდან ვერცერთმა მაგნიტოფონმა ვერ აღადგინა მომხდარი ტრაგედიის სრული სურათი. „შავმა ყუთმაც" ვერ გაამართლა იმედები — დიდხანს იყო (სამ საათზე მეტი) ცეცხლში, გადნა და კასეტაში ფირი დაიწვა. მეორე საბორტო მაგნიტოფონში მაგნიტური მავთული — ინფორმაციის მატარებელი — დამთავრდა, ესე იგი ყველაფერი მიღების ბოლოს დასრულდა, რის გამოც მაგნიტოფონს ეს ფრენა არ დაუფიქსირებია.

მესამე მაგნიტოფონის კასეტაში კი მავთულ-მატარებელი არ იყო.

ერთი მხრივ, ფრენის მდარე ორგანიზაცია, მეორე მხრივ — სამხედრო-საჰაერო ჯარების მთავარსარდლის მიერ 1985 წლის 3 ივლისის № 161 განკარგულებით განსაზღვრული ეგრეთწოდებული „ოპომ-85" და ასეთი უსაზღვრო გულგრილობა.

სწორედ ამის შედეგია დიდი ტრაგედია, რის გამოც დაიღუპნენ ადამიანები. მათ შორის ბავშვები, გამწვავდა ისედაც დაძაბული საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოთა ურთიერთობა, პარლამენტის დონეზე გაისმის ურთიერთსაყვედურები და მუქარა ამ ფაქტთან დაკავშირებით და ყველაფერი რის გამო? ვიყოთ გულახდილნი: რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ჩარევის გამო, რომლებმაც თვითნებურად იკისრეს აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების სამშვიდობო მისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშობაო მილოცვები

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მსოფლიოს ყველა კუთხიდან მიიღო საშობაო მილოცვები. მათ შორის, ვინც მას მოულოცა ეს დღესასწაული, არიან:

ჯონ მეიჯორი — ინგლისის პრემიერ-მინისტრი,
ჰელმუტ კოლი — გერმანიის კანცლერი,
ჰანს-დიტრიხ გენშერი — გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი,
იასირ არაფატი — პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარე,
ფრედერიკ დე კლერკი — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი,
ჯორჯ ბუში — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი,
გეორგ კრუპი — „დოიჩე ბანკის" მმართველ დირექტორთა საბჭოს წევრი
ბრაიენ ფოლი — ინგლისის ელჩი,
გიორგი ბატონიშვილი-ბაგრატიონი — ესპანეთიდან,
კიუ ჟინბი — ჩინეთის დროებითი რწმუნებული,
ჯონ ბოლჯერი — ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრი,
რუსლან ხასბულატოვი — რუსეთის პარლამენტის სპიკერი,
ევგენი პრიმაკოვი — ცნობილი რუსი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე მოსკოვიდან,
ასკარ აკაევი — ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი,
ნურსულთან ნაზარბაევი — ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი,
ლევონ ტერ-პეტროსიანი — სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი,
ბაბკენ არარქციანი — სომხეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხელით,
სანგაკ საფაროვი — ტაჯიკეთის სახალხო ფრონტის ხელმძღვანელი,
უნგრეთის საელჩო მოსკოვში.

„რუსეთი არ უნდა დაეხმაროს საქართველოს"

განაცხადეს 6 იანვარს მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატებმა, თანაც, დახმარებას „ყოვლად დაუსაბუთებელი უწოდეს", რომლის შედეგად „აფხაზეთში არტილერიის 250-კილოგრამიანი ბომბებით იღუპებიან ადამიანები". მათ თქვეს, რომ საქართველომ, იმ ხნის განმავლობაში, რაც ომი წარმოებს, რუსეთისგან მიიღო 60 მილიარდი მანეთი, რომელიც მოხმარდა შეიარაღებას აფხაზეთში ომის საწარმოებლად, აფხაზეთა მხარეს კი ანალოგიურ დახმარებას თითქმის არ უწევენ. „ჩვენ იძულებული ვართ თითქმის კრიმინალურ დონეზე შევისყიდოთ იარაღი აფხაზეთის მოსახლეობის მიერ შეგროვილი ძვირფასეულობის ნაცვლად, რათა შევძლოთ ჩვენი ხალხის დაცვა", — თქვა ზურაბ აჩბამ. თანაც დასძინა, რუსეთის უფართოესი წრეები მხარს უჭერენო აფხაზეთს.

„ომი აფხაზეთში, — თქვა შემდეგ იური ვორონოვმა, — ეს არის ომი ანტირუსულ ძალებსა და იმათ შორის, ვინც ორიენტაციას იღებს ჩრდილოეთ კავკასიაზე და ამით — რუსეთზე". მან გაკვირვება გამოთქვა მიხეილ გორბაჩოვის ამასწინანდელი ტელეინტერვიუს გამო, რომელშიც მან, როგორც ვორონოვმა თქვა, „აფხაზ ხალხს სრული კაპიტულაციისათვის" მოუწოდა. და ეს მაშინ, როცა ედუარდ შევარდნაძე, აღნიშნა შემდეგ ვორონოვმა, ცდილობს ისეთი ურთიერთობა დაამყაროს რუსეთთან, რომლის დროსაც საქართველოს შეეძლება დარჩეს დამოუკიდებელი და ამასთანავე ყოველმხრივ გამოიყენოს იგი თავისი მიზნებისთვის.

მათ მოუწოდეს რუსეთის ხელმძღვანელობას ჩაუფიქრდეს იმ ფაქტს, რომ მალე ვარაუდობენ აფხაზეთის ტერიტორიაზე ნატოს ჯარების შეყვანას, როგორც ეს უკვე გაკეთდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

„ჩვენ არ გვსურს, რომ აფხაზეთი დესტაბილიზაციის ფაქტორი გახდეს მთელ სამხრეთში, — თქვა ზურაბ აჩბამ. — მაგრამ, თუ გვაიძულებენ, ჩვენ დახმარებისათვის მოვუხმობთ ყველას, ვინც თანაუგრძნობს ჩვენს ტრაგედიის სარწმუნოებისა და ეროვნების მიუხედავად". ამასთანავე მან აღნიშნა, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს დესტაბილიზაცია რუსეთში. ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფოები, თქვა მან შემდეგ, უკვე ახლა მზად არიან აფხაზეთში გაგზავნონ „ათასობით მეომარი", კაზაკების წარმომადგენლები კი დიდი ხანია იბრძვიან აფხაზეთის ნაწილებთან ერთად.

კირა ანდრონიკაშვილი,
საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის პრესცენტრი.

საზოგადოებრიობის აზრით

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციალური კვლევის ინსტიტუტმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაცია „სლავურმა სახლმა" მოაწყვეს თბილისის მოსახლეობის რუს ნაწილს შორის საზოგადოებრივი აზრის ერთობლივი გამოკითხვა. როგორც ცნობილია, იგი შეადგენს საქართველოს მთელი რუსი მოსახლეობის მესამედს. გამოჰკითხეს ქალაქის მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლებს — მუშებს, სტუდენტებს, ბიზნესმენებს, დიასახლისებს, მათ შორის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრებსაც.

გამოკითხულთა 79 პროცენტს მიაჩნია, რომ რუსეთის ინტერესებში შედის კარგი ურთიერთობა იქონიოს საქართველოსთან. რესპონდენტთა 75 პროცენტი არ იწონებს რუსეთის პარლამენტის მთელ რიგ დეპუტატთა, სხვა თანამდებობის პირთა, მათ შორის სამხედროთა პოზიციას საქართველოსთან ურთიერთობაში, რომლებიც აცხადებენ, რომ საჭიროა რუსთა დაცვა საქართველოში. გამოკითხულთა მხოლოდ 3 პროცენტი იწონებს ამგვარ გამოსვლებს, 85 პროცენტს მიაჩნია, რუსეთის ჩარევა ხელს არ შეუწყობს საქართველოში რუსი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, 4 პროცენტმა კი უპასუხა, რომ ასეთ ჩარევას ეფექტი ექნება.

ირღვევა თუ არა საქართველოში რუსთა უფლებები? გამოკითხულთა 66 პროცენტს ასეთი დარღვევები არ შეხვედრია. 7 პროცენტს მიაჩნია, რომ მათი მოქალაქეობრივი უფლებები ილახება, კითხვაზე, თუ რას ფიქრობენ რუსები თავიანთ მომავალზე საქართველოში, ნახევარზე მეტმა — 58 პროცენტმა უპასუხა, რომ რჩებიან სხვა ხალხთა წარმომადგენლებთან ერთად და ააშენებენ დემოკრატიულ საქართველოს. 31 პროცენტს მიაჩნია, რომ რუსთა უმრავლესობა საქართველოდან გამგზავრდება, 4 პროცენტი კი იმედოვნებს, რომ რუსები ძირითადად დარჩებიან და ყოველნაირი საშუალებით, მათ შორის ძალისმიერითაც, დაიცავს რუსეთის ფედერაცია.

სამხედროებს სამაგიეროს გადახდა სურდათ

ამას წინათ ქალაქ ლაგოდეხში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო შენაერთი აიყარა, სამხედროებმა თან წაიღეს მათ ხელთ არსებული იარაღი, მანქანები, ორ მილიონზე მეტი ტყვია, სხვადასხვა ასაფეთქებელი ნივთიერება და უნდოდათ საქართველოდან ეს ყოველივე გაეტანათ, მაგრამ საგარეჯოს რაიონში, ქართული სამხედრო ნაწილის, შინაგანი ჯარების დახმარებით მათ გზა გადაუღობეს და საშუალება არ მისცეს განზრახვა აღესრულებინათ. მტკიცე პროტესტის შედეგად სამხედროები დისლოცირების ადგილზე, ლაგოდეხში დაბრუნდნენ.

...და აი, ამ დღეებში რუსმა სამხედროებმა სამაგიეროს გადახდა მოინდომეს — შენაერთის დისლოცირების ადგილი დანაღმეს, ჩააწყეს 60 ტონამდე ასაფეთქებელი ნივთიერება. შენაერთი კი თავად ქალაქ ლაგოდეხშია და ვინ იცის, რა უბედურება მოხდებოდა, რომ გენერალ ა. ივანიკოვის ავი ზრახვანი განხორციელებულიყო.

ლაგოდეხში ჩუმ-ჩუმად იმასაც ამბობენ, შესაძლოა ჩვენში ვიღაცეებს არ აწყობთ, რომ კახეთში სიმშვიდეაო... ვინ იცის?

ამ ფაქტთან დაკავშირებით ლაგოდეხელები პროტესტის ნიშნად ქალაქის ქუჩებსა და სამხედრო შენაერთის ახლოს შეიკრიბნენ. რუს სამხედროებთან საუბარში მათ აღნიშნეს, რომ წლების მანძილზე სამხედროებს ლაგოდეხელებისაგან არავითარი წყენა არ ახსოვთ. ოფიცრობა და მათი ოჯახის წევრები ადგილობრივი მოსახლეობის პატივისცემითა და ყოველივე სიკეთით ისევე სარგებლობდა, როგორც ყველა. მით უფრო გულსატკენია მათგან ასეთი ვერაგობა.

ლაგოდეხელებმა მტკიცე პროტესტი გამოთქვეს სამხედროთა ბოროტების გამო და ერთხმად მოითხოვეს დაუყოვნებლივ განაღმონ დისლოცირების ადგილი, ხოლო მათ ხელთ არსებული ტყვია-წამალი, იარაღი და მანქანები დატოვონ საქართველოს ტერიტორიაზე.

ვახტანგ გოგალიშვილი.

პარტიებსა და მოძრაობებში

თხოვნას გავითვალისწინებთ

როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრები, რეგიონული პრინციპით მიღებულ იქნენ ქრისტიანულ-დემოკრატიულ ინტერნაციონალში.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ინტერნაციონალის სრულუფლებიანი წევრობაც მოითხოვა, რასაც ინტერნაციონალის ლიდერები დიდი გაგებითა და ინტერესით შეხვდნენ.

შობა დღეს, 7 იანვარს მიღებული ეს წერილიც ამას ადასტურებს:

ბატონო გიორგი ჭანტურია!

ფორმალურად, მე ჯერ კიდევ არ დამიდასტურებია თქვენგან 10 დეკემბრით დათარიღებული წერილის მიღება, თუმცა ბრიუსელის სხდომაზე გამოსვლისას მე ვეყრდნობოდი მის შინაარსს.

დიდი კმაყოფილებით ვითვალისწინებთ თქვენს თხოვნას ინტერნაციონალში შესვლის თაობაზე, იმის გამო, რომ ეს საკითხი არ იყო შეტანილი სხდომის დღის წესრიგში, ბრიუსელში მისი განხილვა ვერ მოხერხდა.

ვადასტურებ, რომ პუნქტი თქვენი პარტიის ქრისტიანულ-დემოკრატიულ ინტერნაციონალში შესვლაზე, დაყენებული იქნება 1993 წლის 1-2 მარტს. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება პოლიტსაბჭოს ეკუთვნის.

ნება მიბოძეთ, გაუწყოთ, რომ, როგორც უკვე ვთქვი, სხდომაზე, არის ყველა პირობა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესვლისათვის ქრისტიანულ-დემოკრატიულ ინტერნაციონალში.

პატივისცემით

ანრი ლუი.

დამოუკიდებელი საქართველო:

პროგრესი და პრობლემები

ინტერვიუ თურქული ჟურნალიდან

ასეთი სათაურით გამოაქვეყნა თურქეთის ჟურნალმა „იენი ფორუმ"-მა თავისი კორესპონდენტის ინტერვიუ პოლ ჰენზთან, სტრატეგიული კვლევის მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ცენტრის „რენდ კორპორეიშენის" კონსულტანტთან, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ჯიმი კარტერის ადმინისტრაციაში ზბიგნევ ბჟეზინსკის მოადგილესთან. იგი შარშან ნოემბრის ბოლოს ჩამოვიდა საქართველოში, სადაც შეუერთდა საერთაშორისო მეთვალყურეთა მისიას. ეს მისია, როგორც ცნობილია, მოწვეული იყო ჩვენს ქვეყანაში ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ და სხვა საკითხებთან ერთად მიზნად ისახავდა მათ მიერ აფხაზეთის პრობლემების საფუძვლიან შესწავლას და მისი მოგვარების რეკომენდაციების შემუშავებას. ეს ჯგუფი თითქმის ორი კვირის მანძილზე იყო საქართველოში.

გთავაზობთ თურქული ჟურნალის კორესპონდენტის ამ ინტერვიუს ბატონ პოლ ჰენზთან.

კორ.: თქვენ საქართველოში 1991 წელსაც ბრძანდებოდით. რა ცვლილებები შენიშნეთ ერთი წლის შემდეგ?

ჰენზი: ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. მნიშვნელოვან ცვლილებად მიმაჩნია საქართველოს პოლიტიკური სიტუაციის მკვეთრი გაუმჯობესება. გამსახურდია, რომელიც გასულ იანვარს განდევნეს თბილისის ცენტრში გაჩაღებული დამანგრეველი ბრძოლების შემდეგ, იყო ტირანიის გზაზე დამდგარი შეშლილი პიროვნება. მდგომარეობის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი ხელისუფლების სათავეში შევარდნაძის დაბრუნებამ 1992 წლის მარტში, რომელმაც დაამშვიდა ქვეყანა და, რომელიც ამჟამად ჭეშმარიტი დემოკრატიის დამყარებას ცდილობს. მან გაუწია ორგანიზაცია არჩევნებს ოქტომბერში, რომელიც საერთაშორისო მეთვალყურეების მიერ სამართლიან არჩევნებად იქნა შეფასებული. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 65 პროცენტზე მეტმა, რომელთა 90 პროცენტზე მეტმა მხარი დაუჭირა შევარდნაძეს. ჩვენი ჯგუფის იქ ყოფნის პერიოდში შევარდნაძე მუშაობდა მთავრობის რეორგანიზაციაზე; თითოეული მინისტრი პარლამენტის მიერ დამტკიცებას ექვემდებარება. მრავალი ენერგიული ახალგაზრდა დაამტკიცეს მინისტრის თანამდებობებზე. ისინი დააჩქარებენ ეკონომიკურ რეფორმებს.

რასაკვირველია, არიან ისეთებიც, ვისაც არ მოსწონს შევარდნაძე; არ ივიწყებს მის საბჭოურ წარსულს, მაგრამ ვერც ერთმა ქართველმა, რომლებსაც ჩვენ ვესაუბრეთ, ვერ შეძლო საქართველოსთვის უკეთესი ლიდერის შემოთავაზება. შევარდნაძე რომ არ დაბრუნებულიყო, საქართველო დღეს შეიძლება სომალის დამსგავსებოდა, ათეულობით შეიარაღებული რაზმების ლიდერების გაუთავებელი ბრძოლა ქვეყანას მხოლოდ დააქცევდა.

კორ.: ესაუბრეთ შევარდნაძეს?

ჰენზი: ჩვენს ჯგუფს ორი ხანგრძლივი შეხვედრა ჰქონდა მასთან, სულ დაახლოებით ოთხსაათიანი. ძალიან ბევრ საკითხს შევეხეთ.

კორ.: როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?

ჰენზი: ის დაღლილი ჩანს, რამდენადაც, როგორც ჩანს, ძალიან ბევრს მუშაობს, მაგრამ უაღრესად გამჭრიახი გონებისაა. მსოფლიოს მოვლენათა განვითარების კურსშია. ჩვენი პირველი შეხვედრის წინ, მას დაურეკა ახლად არჩეულმა ბილ კლინტონმა. ის აშკარად ნასიამოვნები იყო, რომ მსოფლიოს იმ ლიდერთა შორის აღმოჩნდა, რომლებსაც კლინტონმა დაურეკა. როგორც ჩვენ შევიტყვეთ, კლინტონმა მხარდაჭერა აღუთქვა მას დამოუკიდებლობის, ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიაზე გადასვლის საქმეში. შევარდნაძე ყურადღებით ადევნებს თვალყურს მოვლენათა განვითარებას რუსეთში, მაგრამ არაფრით არ გამოხატავს რაიმე თბილ გრძნობებს მოსკოვის მიმართ. ჩვენი შეხვედრებისას საუბარი მიმდინარეობდა ქართულ და ინგლისურ ენებზე. მას არ სურდა რუსულად ლაპარაკი. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა გაწყვიტა ურთიერთობა გორბაჩოვთან, როდესაც ჩათვალა, რომ ის ძალიან მოექცა კომუნისტი კონსერვატორების გავლენის ქვეშ. მან სრულიად გულახდილად გვითხრა, რომ, მისი აზრით, აფხაზეთში წამოჭრილი პრობლემა რუს კონსერვატორთა „ომისახურებაა", რომლებიც აფხაზი სეპარატისტების გამოყენებით ცდილობენ კავკასიაში დასაყრდენის შენარჩუნებას.

კორ.: რა ხდება აფხაზეთში? იყავით იქ?

ჰენზი: აფხაზეთის მთავარი პრობლემა ისაა, რომ აფხაზები მოსახლეობის მხოლოდ 17 პროცენტს შეადგენენ. საბჭოური სისტემის პერიოდში, ყველა მაღალი თანამდებობა, პროპორციულობის უგულებელყოფით, აფხაზებს ეკავათ. მათ სურთ, ამ პრაქტიკის გაგრძელება. თუმცა, ცხადია, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ამის განხორციელება გაძნელდება, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტს ქართველები შეადგენენ. ძნელია აგრეთვე, ისეთი დემოკრატიული ფორმულის გამონახვა, რომელიც მოსახლეობის 17 პროცენტს მთელი ტერიტორიის დომინირების უფლებას მისცემდა. ასე რომ, აფხაზი ლიდერები დიდად არ არიან დაინტერესებული დემოკრატიებით. ისინი ლაპარაკობენ უმცირესობათა უფლებებზე. აფხაზი სეპარატისტი ლიდერები პროფესიით ძირითადად ფილოლოგები, ისტორიკოსები და არქეოლოგები არიან. მათ შორის არავინ შეგვხვედრია ეკონომიკის ან სამეურნეო საქმიანობის სპეციალისტი. არცერთი მათგანი ეკონომიკაზე არ ფიქრობს. აფხაზეთს კი შეუძლია შავი ზღვის ერთ-ერთი უმდიდრესი რეგიონი იყოს. ამჟამად სრული უმოქმედობაა ბრძოლების გამო. ჩვენ ისეთი წარმოდგენა შეგვექმნა, რომ აფხაზი გლეხობა სულაც არ უჭერს მხარს ამ ბრძოლას, რომელსაც ზიანის მეტი არაფერი მოაქვს მათი ცხოვრებისთვის.

კორ.: რამდენად სერიოზული ბრძოლაა?

ჰენზი: საკმაოდ სერიოზული, რამდენადაც აფხაზეთის ნახევარმილიონიანი მოსახლეობის დაახლოებით 1/3 ლტოლვილად გადაიქცა. ბევრ ქალაქში არ არის ელექტროენერგია და წყალი, იგრძნობა საწვავის ნაკლებობა, სკოლები დახურულია. ხალხი იძულებულია მხოლოდ საკუთარი მოსავლით იკვებოს. დანგრეულია მრავალი საცხოვრებელი, ხიდი და საზოგადოებრივი ნაგებობა. მთელი ტერიტორია დაყოფილია ქართველებისა და აფხაზების კონტროლს დაქვემდებარებულ რაიონებად. მათ შორის, არსებულ დიდ სივრცეებს კი არავინ აკონტროლებს და აქ მოსახლეობა ტერორიზებულია ბანდიტებისა და მძარცველების მიერ.

კორ.: რომელ მხარეს აქვს უპირატესობა მებრძოლებისა და იარაღის მხრივ?

ჰენზი: მებრძოლთა რაოდენობის მხრივ, აფხაზები ჩამორჩებიან. აფხაზი მოსახლეობის საერთო რაოდენობა 90000-ია, მაშინ, როცა ქართველები 4 მილიონს აღწევენ. ქართველები ამბობენ, რომ რუსების, კაზაკების და ჩრდილოკავკასიელი მოხალისეების დახმარებისა და იარაღის გარეშე აფხაზები ვერავითარი ტერიტორიის დაკავებას ვერ შეძლებდნენ. აფხაზები არ უარყოფენ, რომ დახმარებას იღებენ რუსებისაგან და იმასაც აღიარებენ, რომ დაწყებით სტადიაში მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს ჩრდილოკავკასიელებმა, განსაკუთრებით ჩეჩნებმა. იმასაც ამბობენ, რომ ჩეჩენთა უმრავლესობა შინ დაბრუნდა.

მეორე მხრივ, ქართველებს დიდი რაოდენობით ჰყავთ მებრძოლები და ეტყობა, არც იარაღით ჩამოუვარდებიან აფხაზებს, მაგრამ ისინი არ არიან კარგად ორგანიზებული. ბრძოლებში ჩაბმულია რამდენიმე სხვადასხვა ჯგუფი, რომელთა შორის ნაკლებად იგრძნობა კოორდინაცია. ზოგიერთები კი ოდნავ თუ ჩამოუვარდებიან ბანდიტებს. ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში შევარდნაძემ გამოაცხადა საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბის ახალ უფროსად გენერალ ანატოლი კამკამიძის დანიშვნა, რომელიც უკრაინიდან დაბრუნდა საქართველოში.

კორ.: საიდან მოდის მთელი ეს იარაღი?

ჰენზი: ძირითადად ყოფილი წითელი არმიიდან. უკვე ორი-სამი წელია, რაც წითელი არმიის ჯარისკაცები ჰყიდიან იარაღს, საწვავს და სხვა აღჭურვილობას, ზოგმა ნაწილმა, რუსეთში წასვლამდე, ადგილობრივ ძალებს გადასცა თავისი აღჭურვილობა, ზოგმა უბრალოდ დაკარგა კონტროლი ჯარისკაცების [illegible] შედეგად. საქართველოს ოფიციალური პირების განცხადებით იქ ამჟამად რუს ჯარისკაცთა რაოდენობა 15000-ს არ აღემატება. ადრე იქ, თურქეთის საზღვრის გასწვრივ სულ ცოტა 200 000-კაციანი საჰაერო ბაზები იყო განლაგებული. საკუთარი თვალით თუ არ ნახეთ, ძნელი წარმოსადგენია, როგორ გადაგვარდა წითელი არმია. აფხაზეთში ყოფნისას რუსეთის ორი სამხედრო ბაზა მოვინახულეთ. ორივე გაპარტახებულია და არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს. გუდაუთიდან, აფხაზების შტაბიდან, რუსეთის ვერტმფრენით გადავფრინდით სოხუმში. ეკიპაჟი საკმაოდ კეთილგანწყობილი იყო, მაგრამ ასეთ უბადრუკ თვითმფრინავში ჩემს სიცოცხლეში არ ვმჯდარვარ.

კორ.: თქვენის აზრით, ჩეჩნებსა და სხვა ჩრდილოკავკასიელებს რელიგია ამოძრავებთ? რამდენად ერთგული მორწმუნე მუსულმანები არიან აფხაზები?

ჰენზი: შესაძლებელია, ზოგიერთი ჩრდილოკავკასიელი მართლაც ისლამისთვის ბრძოლის იდეით გამსჭვალული ჩამოვიდა, მაგრამ, ეტყობა, მალე მიხვდნენ, რომ საქმე ისლამში არ იყო. აფხაზმა ლიდერებმა გვითხრეს, რომ თითქმის არ არიან მუსულმანი აფხაზები, მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აფხაზეთში ერთი მეჩეთიც კი არ არის. აფხაზთა უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, თუმცა, რელიგიას სერიოზულად არავინ არ ეკიდება. ჩვენ თვითონ ვნახეთ, მშენებარე ახალი ეკლესია. დასავლეთის პრესაში მცდარი ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს აფხაზები მუსულმანები იყვნენ და თურქულ დიალექტზე ლაპარაკობდნენ. აფხაზური ენა უძველესი ენაა და არავითარი კავშირი არა აქვს თურქულთან. აფხაზ ლიდერებს რუსულად ველაპარაკებოდით. მათი უმრავლესობა რუსულს უფრო კარგად ფლობს, ვიდრე ქართულს. ბევრმა მათგანმა განათლება რუსეთში მიიღო. აფხაზი ლიდერების უმრავლესობის უბედურება ისაა, რომ ისინი დაუკავშირდნენ ყველაზე რეაქციონერ რუსებს, იმ პიროვნებებს, რომლებიც მთლიანად ეწინააღმდეგებიან ელცინს და რეფორმატორებს.

კორ. თურქეთის მიმართ როგორ არიან განწყობილი?

ჰენზი: ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ აფხაზებს ლიდერებმა ძალიან ცოტა რამ იციან თურქეთზე. მათ უკვირთ, რომ თურქეთი არ ეხმარებათ. ამასთან, ბევრი არარეალური იდეებით არის შეპყრობილი. მაგალითად, გვითხრეს, რომ ასობით ათასი აფხაზური წარმოშობის ადამიანია თურქეთში, რომლებსაც აფხაზეთში დაბრუნება და დასახლება სურთ. გარდა ამისა გვითხრეს, რომ კიდევ ათასობით მებრძოლის ჩამოსვლას მოელიან თურქეთიდან მათ დასახმარებლად. რამდენიმემ განაცხადა, რომ მოელიან გაეროში გაწევრიანებას რუსეთის სპონსორობით. როგორც ჩანს, ისინი ამაში რუსეთის ზოგიერთმა წარმომადგენელმა დაარწმუნა. სინამდვილეში, თუ რუსეთი მართლაც გაუწევს სპონსორობას აფხაზეთს გაეროში მიღების თაობაზე, მას მოუხდება ასეთივე სპონსორობა გაუწიოს ჩეჩნეთს, თათარსტანს, ბაშკირეთს, იაკუტიას და ყველა სხვა არარუსულ რესპუბლიკას, რომლებსაც დამოუკიდებლობა სურთ. ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს მოხდეს!

კორ.: ბევრი თურქი მეომარია აფხაზეთში?

ჰენზი: აფხაზი ლიდერების თქმით, დაახლოებით 60 კაცი იბრძვის მათ მხარეს. თბილისში თურქეთის საელჩომ გვაცნობა, რომ მხოლოდ რამდენიმე კაცია, რასაც ისინი სამწუხარო ფაქტად მიიჩნევენ. საელჩოს თანამშრომლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თურქეთის მთავრობა არ უჭერს მხარს აფხაზურ სეპარატიზმს და მოუთმენლად ელის ბრძოლის შეწყვეტას. მათ თქვეს, რომ თურქეთს სურს მშვიდობა და წარმატება მეზობელ საქართველოში და არაფრით არ არის დაინტერესებული მისი დაქსაქსვით. მათ მოიყვანეს პრემიერ-მინისტრ დემირელის პირადი მიმართვა ბ-ნ შევარდნაძისადმი, რომელშიც ის არწმუნებს მას თურქეთის ამ პოზიციაში.

კორ.: რა რეკომენდაცია შეიმუშავა თქვენმა ჯგუფმა აფხაზეთის საკითხზე?

ჰენზი: ჩვენი რეკომენდაციაა ცეცხლის დაუყოვნებლივი შეწყვეტა, მოწინააღმდეგეთა დაშორიშორება და აფხაზებსა და ქართველებს შორის მოლაპარაკების დაწყება ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. გარდა ამისა, რეკომენდაცია მივეცით დასახმარებლად მიმართონ გარეშე შუამავალს. ზოგმა ქართველმა უკრაინა დაასახელა. ზოგი თვლის, რომ შეიძლება თურქეთმა გამოთქვას შუამავლობის სურვილი, გაეროს უკვე ჰყავს მეთვალყურეები საქართველოში და მათი ერთი ჯგუფი ჩვენი ვიზიტის შემდეგ გაემგზავრა აფხაზეთში. მათგან შევიტყვეთ, რომ მზად არიან ჩამოიყვანონ 20-30 დამკვირვებელი ცეცხლის შეწყვეტის და ძალთა დაშორიშორების პროცესის გასაკონტროლებლად.

კორ: ქართველები რას ამბობენ თურქეთზე?

ჰენზი: ისინი სერიოზულად არ განიხილავენ თურქების მხარდაჭერას აფხაზებისადმი. ისინი დიდად არიან დაინტერესებული თურქეთით, მიიჩნევენ რა მას ისეთი სახელმწიფოს მოდელად, რომელსაც სიამოვნებით მიბაძავდნენ. ქართველებს თურქეთის ინვესტიციები სურთ. ასობით ათასმა ქართველმა უკვე იმოგზაურა რიზესა და ტრაპიზონში სავაჭროდ. ბევრმა განაახლა კავშირები თურქეთში მცხოვრებ ნათესავებთან. გაცხოველებული ვაჭრობაა საზღვარზე სარფთან, ქართველმა ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ იმედოვნებენ ახალი საბაჟოს გახსნას ახლო მომავალში. საქართველოს ავიაკომპანიამ უკვე რამდენიმე რეისი შეასრულა სტამბოლში და სურთ მუდმივი მიმოსვლის დაწესება სტამბოლთან, ანკარასა და ტრაპიზონთან.

კორ. როგორ განიხილავენ ქართველები აზერბაიჯანს?

ჰენზი: მათ მეგობრული ურთიერთობები სურთ. დაინტერესებული არიან, რომ მათთვის საჭირო ნავთობის ძირითადი ნაწილი აზერბაიჯანიდან მიიღონ. აპირებენ ნავთობსადენის მოდერნიზებას ბაქოდან ბათუმამდე, რათა აზერბაიჯანმა შეძლოს თავისი ნავთობის გატანა შავი ზღვით. აზერბაიჯანს, თავის მხრივ, სურს იმის გარანტია, რომ საქართველოსთვის მიწოდებული ნავთობი სომხეთში არ მოხვდება. საქართველოს სომხეთთანაც მეგობრული ურთიერთობები უნდა, ამასთან მოწადინებულია, რომ სომხეთმა და აზერბაიჯანმა სერიოზული მოლაპარაკებები დაიწყონ ყარაბაღის საკითხზე. ძირითადად, საქართველოს ოფიციალური პოლიტიკა ძალიან წააგავს თურქეთისას. საქართველო არ უთანაგრძნობს სომხეთის მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიებზე პრეტენზიების საკითხში ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არავითარ მოთხოვნებს არ უყენებენ თურქეთს, თუმცა შუა საუკუნეებში თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი საქართველოს ეკუთვნოდა. ეს წარსული ისტორიაა, სთვლიან ისინი. დღევანდელი პოლიტიკა კი რეალობაზე უნდა აიგოს და არა ისტორიაზე.

კორ: აჭარაში საკმაო რაოდენობით არიან მუსულმანები და თურქულენოვანი უმცირესობა. იქ რა ვითარებაა?

ჰენზი: აჭარა და მისი დედაქალაქი ბათუმი დღევანდელი საქართველოს ყველაზე სიცოცხლით აღსავსე ნაწილია. იქაური ლიდერი ასლან აბაშიძე იმ მეჰმედ აბაშიძის შვილიშვილია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ათათურქსა და ლენინს შორის ხელშეკრულების შემუშავებაში, რომელსაც მოჰყვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა 20-იან წლებში. აბაშიძემ წარმატებით განახორციელა გამსახურდიასაგან შევარდნაძეზე გადასვლა. მისთვის პრიორიტეტულია ეკონომიკის საკითხები და მნიშვნელოვან პროგრესსაც მიაღწია ბოლო ერთი წლის მანძილზე. მე შარშანაც ვესტუმრე აჭარას და ცვლილებები აშკარად შეიმჩნევა. ბათუმი სუფთავდება. მიმდინარეობს ახალმშენებლობა. ნავსადგურში დიდი საქმიანობაა. ფართოვდება ადგილობრივი ბიზნესი და ვაჭრობა. მაღაზიები ღამეც ღიაა და სავსეა თურქული ნაწარმით. აბაშიძემ დაგვათვალიერებინა ბიზნესისა და ინვესტიციების ახალი ცენტრი, რომელიც რამდენიმე კვირაში გაიხსნება, წაგვიყვანა აგრეთვე ახლახან გახსნილ ქართულ-ამერიკულ ბანკში, თავისუფლების ბანკში, რომელიც აშშ-ის „სითიბენქ"-ისთან ერთობლივად შეიქმნა. ის ისწრაფვის მიიზიდოს უცხოური ინვესტიციები სხვადასხვა სფეროებში — გადამამუშავებელ მრეწველობაში, ვაჭრობაში, ტურიზმში, კავშირგაბმულობაში.

აფხაზეთს რომ აბაშიძისნაირი ლიდერი ჰყავდეს, იქაურ მოსახლეობას ბრძოლის დრო აღარ ექნებოდა. ისინი თავისი მდიდარი მინდვრების დამუშავებით, ხილის, ბოსტნეულის, თამბაქოს, ხის, თევზისა და რძის ნაწარმის გადამუშავებით იქნებოდნენ დასაქმებულნი. აფხაზეთს ტურიზმის არაჩვეულებრივი შესაძლებლობები აქვს, მაგრამ აქამდე ყველაფერი მხოლოდ კომუნისტური პარტიის ელიტას ემსახურებოდა. მათ რომ დასავლურ ყაიდაზე მოაწესრიგონ თავისი სასტუმროები, ბევრ ტურისტს მიიზიდავდნენ ევროპიდან და ახლო აღმოსავლეთიდან. მშვენიერი შესაძლებლობები იქნებოდა აგრეთვე თურქი საქმოსნებისთვის. თურქების რაც შეიძლება მეტი რაოდენობაა საჭირო აფხაზეთში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, მაგრამ არა როგორც პარტიზანმებრძოლები, არამედ როგორც ინვესტორები, ბიზნესმენები, ვაჭრები და ტურისტები.

კორ: რამდენიმე კვირის წინათ ჩეჩნეთში იყავით. იქ რა ხდება?

ჰენზი: ჩეჩნებს დამოუკიდებლობა უნდათ, მაგრამ საერთაშორისო კანონის თვალსაზრისით მათი რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის ნაწილია. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ეფექტიანად შეძლეს თავის დაცვა. რუსეთის ჯარები გაყვანილ იქნენ მათი ტერიტორიიდან და ჯერჯერობით უკან აღარ დაბრუნებულან. ახლანდელი ოსეთ-ინგუშეთის კრიზისისას რუსეთი ძალიან ფრთხილობდა, რომ არ გაეღიზიანებინა ჩეჩნები. საეჭვოა, რომ ეს რესპუბლიკა საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ცნოს დამოუკიდებლად, მაგრამ ვერც რუსეთი შეძლებს მის დამონებას.

კორ: რამდენად უნარიანი კაცია დუდაევი, ჩეჩნეთის ლიდერი?

ჰენზი: ის ჭკვიანი კაცია, იცოდა, როგორ დაერაზმა ჩეჩნები, რათა წინ აღდგომოდნენ მოსკოვის მცდელობას შეენარჩუნებინა თავისი კონტროლი ჩეჩნეთში. მაგრამ, როგორც საბჭოთა საჰაერო ძალების გენერალს, მას არ გააჩნდა პოლიტიკური გამოცდილება. ამ ბოლო დრომდე ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკონომიკას. თუმცა ჩეჩნებს მთელ რუსეთში აქვთ განთქმული სახელი, როგორც ვაჭრებსა და სხვადასხვა ოპერაციების სპეციალისტებს.

ამჟამად დუდაევი ეძებს გზებს, რომ აღორძინოს ნავთობის მრეწველობა და მისი ექსპორტი. ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც მან ამ ბოლოს გადადგა, საქართველოსთან დაახლოებისკენ სწრაფვაა. ჩეჩნებისა და ქართველების მეგობრობას არაფერი არ აბრკოლებს. მათ შორის არ არსებობს რაიმე დავა საზღვრების საკითხზე, ორივე დიდად მოიგებდა ვაჭრობის გაფართოებით. თბილისში ყოფნისას შევიტყვე, რომ ისინი ცდილობენ გამონახონ თანამშრომლობის გზები. როგორც ჩანს, ჩეჩენი მებრძოლებიც ამ მიზეზით გაიყვანეს აფხაზეთიდან. ჩეჩნეთში გახიზნულმა გამსახურდიამაც დატოვა ჩეჩნეთი და ფინეთში გადავიდა. ძველ კომუნისტებს და რუს კონსერვატორებს დიდად არ გაახარებთ ქართველებისა და ჩეჩნების დაახლოება; მათ არც ჩეჩნეთ-აზერბაიჯანის თანამშრომლობა მოსწონთ.

კორ: რისი გაკეთება შეუძლია აქ რუსეთს?

ჰენზი: კავკასიელთა უმრავლესობას ჯერ კიდევ ეშინია რუსეთისა. ძნელია მეხსიერებიდან 400 წლის ისტორიის ამოშლა. რუსების ნაწილს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმპერიალისტური წარსულის აღორძინების იმედი. ჭკვიან რუსებს ესმით, ისევე როგორც ინგლისელებმა გაიგეს ინდოეთთან დაკავშირებით, ან თურქეთმა არაბეთის ქვეყნებთან მიმართებაში, რომ იმპერიების ერა წარსულს ჩაბარდა და ახლებური თანამშრომლობით ურთიერთობები უფრო სასარგებლოა, ვიდრე დამპყრობლობა. ასეთმა რუსებმა იციან, რომ მათი ქვეყანა იმპერიალისტური ვეღარ იქნება. მაგრამ ძველ კომუნისტებს, ზოგიერთ სამხედროებს და რუს ნაციონალისტებს არ სურთ რეალობის ცნობა. რუსეთს ახლებური პოლიტიკა სჭირდება კავკასიის მიმართ. რუსეთისთვის აზრი არა აქვს კავკასიელი ხალხების ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრების მცდელობის გაგრძელებას. კლასიკური „გათიშე და იბატონე"-ს მიდგომით აქ მხოლოდ მუდმივი არასტაბილურობაა, რაც ხელს უშლის ეკონომიკის აღორძინებას. ეს უარყოფითად მოქმედებს თვით რუსეთზეც. თურქეთის შავი ზღვის ინიციატივა იმის კარგი მაგალითია, თუ როგორი პოლიტიკა უნდა აირჩიონ ამ რეგიონის ქვეყნებმა მომავალში.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მინისტრის განცხადება

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლაუს კინკელმა ოფიციალურად გამოაცხადა გადაწყვეტილება დაასახელოს თავისი კანდიდატურა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის — ლიბერალების თავმჯდომარის პოსტზე. პარტია ბონის მმართველ კოალიციაში შედის. ეს განცხადება საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გააკეთა ბადენ-ვიურტემბერგის მხარის მთავარ ქალაქ შტუტგარტში, სადაც გაიმართა პარტიის ხელმძღვანელობის ტრადიციული სახელმწიფო შეხვედრა. მის განზრახვას მხარი დაუჭირეს პარტიის თავმჯდომარემ ოტო ლამსდორფმა და პარტიის საპატიო თავმჯდომარემ ჰანს-დიტრიხ გენშერმა. არჩევნები გაიმართება წელს ივნისში პარტიის ფედერალურ ყრილობაზე მიუნსტერში (ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარე). იმის მიუხედავად, რომ კლაუს კინკელი სულ ორი წელიწადია, რაც ამ პარტიის წევრი გახდა (როცა მან იუსტიციის ფედერალური მინისტრის პოსტი იკავა) ბონის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ „პარტიის თავმჯდომარედ მისი არჩევის შემთხვევაში იგი ისეთ კარიერას გააკეთებს, როგორიც ამ პარტიის არც ერთ წარმომადგენელს არ ღირსებია".

გამოვიდა „ამერიკის ხმით"

ამერიკის შეერთებულ შტატებში კერძო ვიზიტად (მოწვევით) იმყოფება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი ბატონი გიორგი გაჩეჩილაძე. მას შეხვედრები ჰქონდა საზოგადოებრიობის და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებთან. შეხვდა კარნეგის ფონდის თავმჯდომარეს ბატონ პოლ გობელს. ამ დღეებში მას ორჯერ ესაუბრა „ამერიკის ხმის" ქართული სტუდიის კორესპონდენტი. ამერიკელებს აინტერესებთ საქართველოში შექმნილი ვითარება, უწინარეს ყოვლისა, ქართველ-აფხაზთა შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა შესახებ ცალმხრივი ინფორმაცია გააჩნიათ.

გაიმართება შეხვედრა

კვირას მოსკოვში ხანმოკლე ვიზიტად ჩავიდნენ სომხეთის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი და პრემიერ მინისტრი ხოსროვ არუთინიანი. მოელიან, რომ დღესვე გაიმართება მათი შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტთან ბორის ელცინთან. განიხილავენ სომხეთისათვის ეკონომიკური დახმარებისა და ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს. პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი აპირებენ აგრეთვე შეხვდნენ რუსეთის მთავრობის მეთაურს ვიქტორ ჩერნომირდინს, რომელიც კვირას საღამოს მოსკოვში უნდა დაბრუნდეს ტომსკის ოლქიდან.

ზემოქმედება უნდა მოახდინონ

იტარ-ტასის კორესპონდენტის ცნობით, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰიქმეთ ჩეთინმა მოუწოდა ისლამურ ქვეყნებს გამოიყენონ ნავთობი, როგორც ზემოქმედების საშუალება მსოფლიოს გაერთიანებაზე, რათა მიაღწიონ რაც შეიძლება მალე საერთაშორისო სამხედრო ჩარევას ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისლამური კონფედერაციის ორგანიზაციის უმაღლესი დონის შეხვედრამ 11 იანვარს სენეგალის დედაქალაქ დაკარში მთელი სერიოზულობით უნდა გამოთქვას თავისი დამოკიდებულება ბოსნია-ჰერცეგოვინის პრობლემის მიმართ. მუსლიმანურმა ქვეყნებმა უნდა მიაღწიონ სერბთა აგრესიის შეწყვეტას და ბოსნიისათვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს გაუქმებას. მინისტრმა ეჭვი გამოთქვა, რომ ჟენევის სამშვიდობო კონფერენცია შეიმუშავებს გადაწყვეტილებას, რომელიც დააკმაყოფილებს ბოსნიელ მუსლიმანებს.

საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქავტორემონტთან" შექმნილია საქართველო-რუსეთის ერთობლივი საწარმო „საქართველოგაზავტოსერვისი", რომელიც გორკის სახელობის საავტომობილო ქარხნისა და ქალაქ ზავოლჟიეს ძრავების ქარხნის საუკეთესო ავტოსპეციალისტებთან ერთად ჩაუტარებს სასერვისო მომსახურებას ორგანიზაციებისა და კერძო პირების კუთვნილ

გაზ-52, გაზ-53, გაზ-24, გაზ-3102

მოდიფიკაციის ავტომობილებს.

საჭირო სათადარიგო ნაწილებისა და მასალების შემოსაზიდად 1993 წლისთვის, ვთხოვთ მანქანების მფლობელებს, რომელთა ავტომობილები არ გაივლიან სასერვისო მომსახურებას გორკის რესპუბლიკური ტექნოკომერციული ცენტრის ბაზაზე, შეგვატყობინონ ავტოპარკის მონაცემები ურთიერთ ხელშეკრულების დასადებად შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, 380024, მექანიზაციის ქუჩა №1,
„საქართველოგაზავტოსერვისი".

ტელეფონები ცნობისათვის:
„საქავტორემონტის" 66-03-53
„საქართველოგაზავტოსერვისი" 66-10-54, 66-18-26.

„ღმერთო, საქართველო მიცოცხლე..."

ჩვენმა უმძიმესმა დრომ ბავშვთა სამყაროშიც შეიტანა თავისი მკაცრი კორექტივი. ალბათ, ყველაზე მკაცრი, რომელიც ოდესმე შეიძლებოდა თავს გადახდენოდათ პატარებს. აფხაზეთში თავსმოხვეულმა ომმა ისინი მშობლიურ ფუძეს მოწყვიტა, სახლ-კარი მიატოვებინა და საკუთარ მიწა-წყალზე ლტოლვილად აქცია. და, თუმცა, საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მათთვის უშურველად გაიღეს სითბო და ალერსი, მაინც თავისი კუთხე ენატრებათ, გული და გონება იქითკენ აქვთ. ყველა ცდილობს, როგორმე შეუმსუბუქოს ნორჩებს მძიმე ხვედრი, მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებენ, მაგრამ დარდს მაინც თავისი გააქვს, მათ თვალებში იშვიათად როდი ციმციმებს ცრემლი...

ახალგაზრდულმა ფონდმა „მამულმა" და საქართველოს ბავშვთა ფედერაციამ 8 იანვარს საშობაო ზეიმზე მოიწვიეს აფხაზეთიდან ლტოლვილი ნორჩები. მანამდე მათთან სამაჩაბლოდან ლტოლვილი პატარებიც იყვნენ. დღესასწაული იმ შენობაში გაიმართა, სადაც წინათ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დიდების მუზეუმი იყო. ახლა იგი ბავშვების კუთვნილებაა. ამ ორი საქველმოქმედო ორგანიზაციის გარდა აქ ბინა დაიდო ფირმა „ბასტი ბუბუმ".

საინტერესო საშობაო პროგრამა მოუმზადეს მასპინძლებმა სტუმრებს, გულით მოილხინეს ბავშვებმა, წამით გადაავიწყდათ დარდი, ერთად იმღერეს და იცეკვეს, ლექსებიც წაიკითხეს. შემდეგ კი პატარა ლტოლვილები საჩუქრებით — საბავშვო წიგნებითა და ნუგბარით დაასაჩუქრეს.

ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული ნორჩებს მიულოცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ:

— ინებოს უფალმა, რომ მალე დამყარდეს მშვიდობა და სიყვარულმა დაისადგუროს საქართველოში. ეს არის ბოროტების უკანასკნელი გაბრძოლება და მალე ყველაფერი კეთილად დამთავრდება. თქვენ დაუბრუნდებით თქვენს სახლებს, სოფლებს, ქალაქებს, სკოლებს და ისევ ბედნიერები იქნებით. თქვენ, — მიმართა მან პატარებს, — უნდა გწამდეთ ღმერთი და ყოველდღე ლოცულობდეთ საქართველოს მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის.

შემდეგ უწმინდესმა და უნეტარესმა და ბავშვებმა ერთად შეასრულეს ლოცვა — „ღმერთო, საქართველო მიცოცხლე..."

ჭეშმარიტად! უცოცხლე და უდღეგრძელე სამშობლო ამ პატარებს, ყველა ბავშვს — მომავალი საუკუნის მოქალაქეებს, რომლებმაც უნდა იცხოვრონ თავისუფალ, ერთიან, ბედნიერ საქართველოში.

მერი გაბრიაძე.

სურათზე: ქრისტეშობის ნათელი დღესასწაული ბავშვებს მიულოცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

ბონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პოლიცია ებრძვის ბოროტმოქმედებს

ამ ბოლო დღეებში თეთრიწყაროს რაიონის პოლიციის მუშაკებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბოროტმოქმედებთან შეურიგებელ ბრძოლაში. 4 იანვარს შინაგან საქმეთა განყოფილების საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა — სამსახურის უფროსმა ინსპექტორმა, პოლიციის უფროსმა ლეიტენანტმა შოთა ბექაურმა და ადმინისტრაციული პრაქტიკის ინსპექტორმა, პოლიციის ლეიტენანტმა არმაზ გიგაურმა საგზაო პოლიციის სამსახურებრივი ავტომანქანით წამლები წაუღეს თბილისის პირველ საავადმყოფოში 3 იანვარს ბოროტმოქმედებთან შეტაკებაში დაჭრილ თავიანთ თანამშრომლებს. უკან დაბრუნების დროს სოფელ ბორბალოს გადასახვევთან, კოდა-თეთრიწყაროს გზაზე სამმა შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა იარაღის მუქარით გააჩერა მანქანა. შოთა ბექაურმა ერთ-ერთი ბოროტმოქმედი განაიარაღა — წაართვა ავტომატი. ამ დროს მეორე ბოროტმოქმედმა ესროლა ბექაურს. ტყვია მოხვდა განიარაღებულ ბოროტმოქმედს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. შემდეგი გასროლილი ტყვიით დაიჭრა ბექაური, იგი მოთავსებულია თბილისის პირველ საავადმყოფოში, ბოროტმოქმედი კი მიიმალა.

დააკავეს მესამე ბოროტმოქმედი — ადრე ნასამართლევი, უმუშევარი, გარდაბნის რაიონის სოფელ შინდისის მცხოვრები ბადრი ჯიჯიაშვილი. მან აღიარა მოკლულის ვინაობა. იგი არის გარდაბნის რაიონის სოფელ ტაბახმელაში მცხოვრები, უმუშევარი ვეფხია მგალობლიშვილი. ჯიჯიაშვილმა ასევე განაცხადა, რომ მიმალული ბოროტმოქმედი ცხოვრობს დაბა კოჯორში. მისი ვინაობა დგინდება.

5 იანვარს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ხათუნა ჯიქიას — წერეთლის ქუჩის მეორე შესახვევის ნომერ 9-ში მცხოვრებს — თავს დაესხა გადაჭრილი თოფით შეიარაღებული ორი ბოროტმოქმედი. მათ მუქარით გახადეს ქალიშვილს ქურქი, ქალაქის შინაგანი სამმართველოს მუშაკებმა შემთხვევის ადგილზე დააკავეს მძარცველები — ზუგდიდელები ზაზა ქარდავა და გიორგი ჯალაღონია.

ცხონება

ლეილა თათეიშვილი

სულიერებასთან შერწყმული ხორციელი სილამაზის და ბუნების მშვენიერების გამობრწყინებად წარმოდგა ლეილა თათეიშვილის ელვისებური გამოჩენა ქართულ საცეკვაო ხელოვნების ასპარეზზე.

შემკული გარეგნობის გოგონამ პირველი ნაბიჯები ქორეოგრაფიაში დიდი მასწავლებლების დავით ჯავრიშვილისა და ჯანო ბაგრატიონის ხელმძღვანელობით გადადგა. სულ მალე მაღალი ოსტატობით დაეუფლა ამ ფაქიზ და რთულ პროფესიას.

განსვენებულის შემოქმედებითი დამოკიდებულება ქართული ცეკვის შინაარსთან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, ორიგინალურ პლასტიკურ ფორმაში გამოიხატა. ასეთი საშემსრულებლო სტილი მოღვაწეობის ყველა ეტაპზე ახასიათებდა მის ხელოვნებას.

საქართველოს სახალხო არტისტის ლეილა თათეიშვილის შემოქმედება, რამდენიმე ათწლეულს რომ ითვლიდა და აგრერიგად ამშვენებდა უთვალავ სცენას, ახალისებდა ხალხმრავალ აუდიტორიებს.

ვიდრე იარსებებს ცეკვა „ქართული", იგი კი მარადია, ლეილა თათეიშვილის სახელი ქართულ ქორეოგრაფიულ საგანძურში მუდამჟამ დარჩება.

ესეც ხომ ბედისწერაა, დაბადების დღეს, 12 იანვარს მიიბარებს მის ნეშტს მშობლიური მიწა.

საქართველოს ქორეოგრაფიული საზოგადოება.

ვარლამ ჯანჯღავა

გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ომისა და შრომის ვეტერანი ვარლამ სოსრამის ძე ჯანჯღავა.

ვარლამ ჯანჯღავა დაიბადა 1911 წელს. 1931-1933 წლებში მუშაობდა ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. შემდეგ სწავლობდა თბილისში ამიერკავკასიის უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. 1935 წლიდან 20 წელზე მეტი ხნის მანძილზე მსახურობდა საბჭოთა არმიაში და განვლო გზა ქართული დივიზიის სკოლის პოლიტიკური ხელმძღვანელიდან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველ მოადგილემდე.

1957 წლიდან 1969 წლამდე ვ. ჯანჯღავა მუშაობდა თბილისის ნაძალადევის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, შემდეგ კი — 17 წელზე მეტი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტს.

თავის ძირითად სამუშაოს ვ. ჯანჯღავა ყოველთვის წარმატებით უხამებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მრავალჯერ ყოფილა არჩეული რესპუბლიკისა და ქ. თბილისის ხელმძღვანელ ორგანოებში.

ვ. ჯანჯღავა ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა, მრავალი წიგნის, ბროშურის, საჟურნალო და საგაზეთო სტატიის ავტორია.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ღვაწლმოსილი, ქართველი პატრიოტი, პრინციპული ადამიანი.

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო;
ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტი.

იაშა არჩვაძე

კიდევ ერთი შესანიშნავი თბილისელი ვაჟკაცი წავიდა ჩვენგან. გარდაიცვალა იაშა არჩვაძე — დიდი ოჯახის მამა, ჭეშმარიტი მოქალაქე. მეგობრებისთვის თავდადებული, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული.

დაიბადა 1930 წელს, 28 აგვისტოს — მარიამ ღვთისმშობლის ცად ამაღლების დღეს და გარდაიცვალა 7 იანვარს ქრისტეშობის დღეს, უთუოდ არის ამ თარიღებს შორის რაღაც საკრალური აზრი.

სადაც კი უმუშავნია, ყველგან დაიმსახურა თანამშრომლების, კოლეგების სიყვარული და პატივისცემა. სხვადასხვა დროს იყო „საქიუველირვაჭრობის" და „საქვაჭრობის" მმართველის მოადგილე და შემდეგ მმართველი, „თბილავეჯის" მმართველი, „თბილმრეწვაჭრობისა" და „საქბაკალეის" მმართველის მოადგილე. ბოლო ხანს ვაჭრობის სამმართველოს უძღვებოდა კონცერნ „საქართველოში". ის იყო ნამდვილი პროფესიონალი თავისი საქმისა.

მისი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ახლობლების, მეგობრების, კოლეგების გულებში.

კონცერნი „საქართველო".

ბატონო ბიზნესმენებო!

თქვენ გეძლევათ საშუალება გახდეთ ბიზნეს-კლუბ „ნს პარტნიორის" წევრები, რომელიც გაიხსნება 1993 წლის 14 იანვარს. მხოლოდ კლუბის წევრებს ექნებათ საშუალება უფასოდ:

— მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია ყველა ცენტრალური სასაქონლო-სანედლეულო და სავალუტო ბირჟიდან;
— მოემსახურონ ფაქსით, ტელექსით, ქსეროქსით, მემანქანეთა ბიუროთი;
— მოუმზადონ მთლიანი დოკუმენტაცია მცირე საწარმოების, ასოციაციების, ფირმების და ა. შ. ჩამოსაყალიბებლად;
— მოუწყონ აუქციონები, ბაზრობები, გამოფენები, საქმიანი შეხვედრები, საიუბილეო საღამოები;
—შეღავათიან ფასებად შეიძინონ კრუიზის საგზურები;
— წინასწარ დაჯავშნონ ავიაბილეთები, სასტუმროს ნომრები;

თქვენ მოგემსახურებიან კვალიფიციური თარჯიმნები;

და, ბოლოს, თქვენ შესაძლებლობა გექნებათ საღამოს დაისვენოთ ჩვენს კლუბში, შეხვდეთ და მოუსმინოთ ესტრადის წამყვან მსახიობებს.

ეს ყველაფერი შესაძლებელი იქნება მხოლოდ კლუბის წევრებისათვის.

გელოდებით მისამართზე: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი 118, კ/თ „კოსმოსი", ტელ.: 34-78-81, 34-40-81.

ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ რესპუბლიკის ცხელ წერტილებში მომუშავე ან საგანგებოდ მივლინებული ჟურნალისტების ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით შექმნა სადაზღვევო სამსახური, რომელიც მატერიალურ დახმარებას აღმოუჩენს მათ პროფესიული მოვალეობის დროს დაზარალების შემთხვევაში.

საქართველოს ტრანსპორტზე მგზავრთა მომსახურების სავაჭრო-საწარმოო ფირმა „საქართველოს" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს რკინიგზის სამმართველოს უფროსის რემი ვაშაკიძის მამა

ვლადიმერ ვაშაკიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მთა-ბარის ამბები

ეძიებდნენ ქვეყნის გადარჩენის გზებს

გაიმართა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სესიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების მოდელი და ფორმირების ძირითადი მიმართულებები საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მისი მთავარი ასპექტები, განხორციელების გზები, მოსალოდნელი შედეგები.

სესია გახსნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ვალერიან მეტრეველმა.

კამათში მონაწილეობდნენ აკადემიკოსები: გოგოთურ აგლაძე, რობერტ ანდღულაძე, ნუგზარ ბაღათურია, ვახტანგ ბურკაძე, ანდრო კიკნაველიძე, რევაზ მახარობლიძე, ცოტნე მირცხულავა, ნაპოლეონ ქარქაშაძე, წევრ-კორესპონდენტები: გივი ბაღრიშვილი, ნიკოლოზ ეხეუბლა, ნოდარ ჩხარტიშვილი, საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ჯუმბერ პატარაშვილი, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი ოთარ კვესიტაძე, დოცენტი კამო ქართველიშვილი და სხვები.

სამეცნიერო სესიის შედეგები შეაჯამა საქართველოს პარლამენტის წევრმა, აგრარული კომისიის თავმჯდომარემ როინ ლიპარტელიანმა.

მეცნიერები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ შემოთავაზებული კონცეფცია რადიკალურ-აგრარული რეფორმის შესახებ, ქვეყნის შიმშილისაგან ხსნის ერთ-ერთი სწორი გზაა.

იზა ჯაჭვაძე.

●

ასე იცის სიმდიდრემ

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა უნგრეთში ვალუტით შეიძინა „იკარუსის" მარკის ავტობუსის მარაგნაწილები და უფასოდ გადასცა იგი ავტოსატრანსპორტო საწარმოს. „ქიმბოჭკოს" გაერთიანებამ თავისი ნედლეული გაუცვალა იაროსლავლის საბურავების ქარხანას და მიღებული საბურავების დიდი პარტია გადასცა რუსთავის ავტოტრანსპორტელებს. „აზოტის" გაერთიანება ფულადი თანხების დიდ ნაწილს უფარავს იმ ტრანსპორტს, რომლებიც მისი კოლექტივის მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანაზეა დაკავებული.

ამიტომაცაა, რომ მგზავრობის ღირებულება სხვა ქალაქებთან შედარებით აქ გაცილებით იაფია. საცხოვრებელი მასივებიდან სამრეწველო ზონაში არ ჭირს მიმოსვლა და ტრანსპორტის მიზეზით მუშა-მოსამსახურეებს სამუშაოზე დაგვიანება არ უხდებათ.

დავით ბიწაძე.

●

სპექტაკლმა ყველა გაახალისა

უჩვეულო ამპლუაში წარმოსდგნენ თბილისელი ნორჩი მხატვრები — ილონა აზვლედიანის ხელოვნების ბავშვთა სურათების გალერეის აღსაზრდელები. მათ საშობაო თეატრალური სპექტაკლი მოამზადეს. დიკენსის „საშობაო სიმღერა" ეროვნულად გაასცენურა პედაგოგმა მზექალა ბერძენიშვილმა, რომელიც გალერეაში წლების მანძილზე ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას ემსახურება. წარმოდგენ[illegible] მხატვრულ და [illegible] მოსწავლეებმა [illegible] ფორმებს და ახალ თეატრალური მხატვრობის სპეციფიკასაც ეზიარნენ.

სპექტაკლმა ყველა გაახალისა.

●

სწავლა განახლდება 11 იანვარს

როგორც საქართველოს განათლების სამინისტროდან გვაცნობეს, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლა განახლდება 11 იანვარს.

მზია გელენავა

ქველმოქმედება

მადლი ჰქენი...

დღეს ომია, სასტიკი და დაუნდობელი... ომი არა მარტო მტერთან, თითოეული ჩვენგანის სულის სიბნელესთან. ვაი რომ, სულმდაბლობამ, სისუსტემ და არარაობამ იმძლავრა ჩვენში. სხვა რა სახელი უნდა დავარქვათ თუნდაც იმ ფაქტს, რომ ჩვენს ბიჭებს, ომში დაჭრილ-დაჩეხილებს, თბილისის საავადმყოფოებში, სადაც ჭრილობებს უშუშებენ... ზოგჯერ შიათ!

მერედა, ვინ არის დამნაშავე? ჩვენში ხომ ასეა მიღებული: წამალი არ არის? — ექიმს ვაბრალებთ. შპრიცი არ არის? დაჭრილებს საჭმელი აკლიათ? — ესეც ექიმის ბრალია?

რატომღაც ყველა ექიმს ემუქრება, მაშინ, როცა ეს მუხლჩაუხრელი ადამიანები დღე და ღამეს ასწორებენ ჩვენი ბიჭების სიცოცხლის გადარჩენისათვის. მაინც, ვინ უნდა იკისროს ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ამ საერთო გაჭირვების ჟამს? გადავხედოთ თუნდაც გასულ საუკუნეს. რაც კი რამ საქველმოქმედო საქმე გაკეთებულა, ღირსშესანიშნავი შენობა აგებულა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, ყველა იმ რამდენიმე ქართველ მილიონერს ეკუთვნის, ჩვენი რომ გვყოლია — სარაჯიშვილს, ძმებს ზუბალაშვილებს, აკაკი ხოშტარიას და სხვებს.

მილიონერები ხომ დღესაც გვყავს. მაშ, სადა ხართ, ქართველო მილიონერებო, ჩვენს დაჭრილ ბიჭებს იქ, ფრონტის ხაზზე კი არა, აქ ზურგში, საავადმყოფოებში სჭირდებათ თქვენი თანადგომა.

დავფიქრდეთ!

მაგრამ განა მარტო მილიონერებზეა საქმე? კეთილ ხალხს საქართველოში რა დალევს, მით უმეტეს მანდილოსნებს. აი, შეიკრიბნენ თბილისელი კეთილშობილი მანდილოსნები ჩვენი საყვარელი მსახიობის ქეთევან კიკნაძის თაოსნობით და აგერ უკვე მერამდენე თვეა დაჭრილებისათვის ოჯახებში სპეციალურად მათთვის დამზადებული გემრიელი კერძები მიაქვთ. მომღერალმა მანანა თოდაძემ, თეატრალებმა: რუსუდან ფარემოზაშვილმა, ლამარა ლონდაძემ, რკინიგზის საბავშვო ბაღის გამგემ ცისანა მაისურაძემ, დიასახლისმა ცაცა სპანდერაშვილმა და სხვებმა შეკრიბეს ფული, რითაც გაგრაში დაჭრილი მეომრები დაასაჩუქრეს. და ეს ხდება თითქმის ყოველდღიურად. უჩუმრად, უხმაუროდ იღვრება ნამდვილი დედური სიკეთე, კეთილშობილება. განსაკუთრებით ახლა, ახალი წლის წინა დღეებში მოეძალათ საქმე ჩვენს სახელოვან მანდილოსნებს. მათ ჩვენც სწორედ საავადმყოფოსთან შევხვდით.

ქეთევან კიკნაძე: — ასეა თითქმის ყოველ დღე. მოვდივარ და თვალები ცრემლით მაქვს სავსე. რამდენი დასახიჩრებული, სამუდამოდ დაინვალიდებული და სასოწარკვეთილი ყმაწვილია აქ. მათ გამხნევება, ტკბილი სიტყვა და გვერდში ამოდგომა სჭირდებათ. ხშირად გვესმის ხალხის უკმაყოფილება ცხოვრების მძიმე პირობების გამო. მართალია, ძნელი დრო დაგვიდგა. მაგრამ ჩვენ თუ დღეს ვიწუწუნებთ, მაშინ რაღა თქვან ჩვენმა ბიჭებმა, წვიმასა და თოვლში სანგრებში რომ წვანან და სიკვდილს თვალებში უყურებენ. რა პასუხი გავცეთ მათ? ან რა ვუპასუხოთ იმ დაჭრილ მეომრებს, საავადმყოფოებში ზოგჯერ მოხარშული კომბოსტოს მეტი რომ არაფერი აქვთ. როგორ დავაყენოთ ეს ბიჭები ფეხზე, თუ არ მოვუარეთ. ყველა თბილისელმა ქალმა თუნდაც ერთხელ რომ გააკეთოს მათთვის ერთი სადილი, მართლაც დიდი და კეთილი საქმე იქნება. ნუ დავიზარებთ, ქალებო, მოვინახულოთ ჩვენი მეომრები. დღეს მანდილოსნებიც იქ უნდა ვიდგეთ, სადაც გაჭირვებაა, რადგან თუ არა საერთო ძალისხმევით, ვერ მოვიგებთ ვერაფერს, მით უმეტეს — ომს.

ომი მარტო მტერს კი არ უნდა გამოვუცხადოთ, არამედ საკუთარ თავსაც. მაგონდება დუმბაძის „თეთრი ბაირაღები", სადაც ისიდორემ საკუთარ თავს თვითონ გამოუტანა განაჩენი, მაშინ როცა თუნდაც ერთმა ადამიანმა მასში ეჭვი შეიტანა. დღეს აი, ასეთი ხარისხის სულიერი ამაღლება და ერთმანეთის გვერდით დადგომა გვჭირდება. მაგრამ ვაითუ, შევეჩვიეთ უბედურებას, ვაითუ სულერთი გახდა ჩვენთვის ყველაფერი. ჩვენ თვითონ უნდა ვიხსნათ ჩვენი თავი. ჩვენ ახლა ერთ მუშტად შეკვრა გვჭირდება და არა ერთმანეთის ლანძღვა-გინება. ასეთი გზა მხოლოდ ბოროტების თესვაა. ასე რომ, მივყვეთ სიკეთის გზას, იგი აუცილებლად გამარჯვებამდე მიგვიყვანს. აი, სწორედ ასეთი სიკეთით, კეთილშობილებითა და სიყვარულით მინდა იყოს აღსავსე ეს ახალი წელი, რომელსაც ყველას გილოცავთ. სიკეთე არ მოეშალოს საქართველოს.

საავადმყოფოში ერთ-ერთ გაგრელ დაჭრილს თავს ცოლ-შვილი ადგას. ცოლი და სამი პატარა ბავშვი. ისინიც აქ ცხოვრობენ, საავადმყოფოში. წასასვლელი არსად არა აქვთ. მშობლიურ სახლში დასაბრუნებელი გზა ჯერჯერობით მოჭრილია... შვიდიოდე წლის ბიჭუნა, მოწყენილი და სევდიანი, მამის სასთუმალთან ფანჯრის რაფაზე ზის და დაორთქლილ მინაზე თითით თავისი პატარა აფხაზი მეგობრების სახელები გამოჰყავს: ხიბლა, ადგური, ასტამური...

ახალი წელი კი უკვე დამდგარა.

ვუწილადოთ ჩვენს გაჭირვებულ თანამოძმეთ ნამდვილი თბილისური სიკეთე.

ეს მადლი წინ დაგვხვდება ჩვენც და სრულიად საქართველოსაც.

სურათზე: ქალბატონები ქეთევან კიკნაძე და ცისანა მაისურაძე მზრუნველობას არ აკლებენ ორხევის ბატალიონის დაჭრილ ჯარისკაცს არკადი ალავერდაშვილს.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო

ჩვენს გასაჭირზე

იქნებ ქალაქს არ ვეკუთვნით?

თბილისის საქალაქო საბჭოს მერია რომ დაერქვა, გვიხარდა, ვიფიქრე, ევროპულ ყაიდაზე ვიცხოვრებთ-მეთქი. თურმე რა გვიხარია. ადრე ბინები სანახევროდ მაინც თბებოდა და ცხელი წყალიც ასე თუ ისე მაინც გვქონდა. ახლა აღარც ერთია და აღარც მეორე. მესმის ომია და გაჭირვება და ბევრი რამ უნდა მოვითმინოთ, მაგრამ როცა ამ გასაჭირს ადამიანთა უგულისყურობა და უზრუნველობაც ემატება, ცხოვრება პირდაპირ აუტანელი ხდება.

ტელევიზიით ვისმენთ და პრესაშიც ვკითხულობთ, რომ გაზი საკმაო რაოდენობით შემოდის ქალაქში, მაგრამ გათბობა და ცხელი წყალი მაინც არ ჩანს. ვიცი, მიპასუხებენ: ყველას არ ყოფნისო. ვთქვათ ასეა, მაგრამ ასეთ დროს ხომ შეიძლება გრაფიკი დავაწესოთ და კვირაში ერთხელ მაინც მივცეთ ცხელი წყალი ადამიანებს, რათა მათ პრიმიტიული ადამიანური მოთხოვნები დაიკმაყოფილონ. ეს რომ არ ხდება, მთელი დატვირთვა გადადის ელექტროქსელზე და იგი წარამარა ირთვება.

ვიცი დაინტერესდებიან შესაბამისი სამსახურის მუშაკები და მკითხავენ: სად ცხოვრობთო. სადა და მუხიანის დასახლებაში (პირველი მიკრორაიონი, მე-13 კორპუსი). როგორ ფიქრობთ, ეს დასახლება იქნებ არც შედის თბილისის მერიაში? თუ ასეა, გვითხარით, ბატონებო, და მუხიანელები ცალკე მერიას შევქმნით.

ნატო თევდორაშვილი.

გამოიწერეთ ჟურნალი „სუბტროპიკული კულტურები"

— სუბტროპიკული სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგში ერთადერთი ნაბეჭდი ორგანო საქართველოში.

ჟურნალი გამოდის 1939 წლიდან ქ. ოზურგეთში ორ თვეში ერთხელ. იგი ვრცელდება სნგ-სა და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. სტატიები იბეჭდება ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე შესაბამისი რეზიუმეებით.

ბატონებო! გაუფასურებული მანეთის პირობებში ჩვენი ჟურნალი მეტად იაფი გამოცემაა.

მისი ღირებულება 6 თვით 97 მან. და 95 კაპიკია. ინდექსი — 76191.

გთხოვთ გამოიწეროთ!



ხელშეკრულება ხორციელდება

ბათუმი. თურქეთიდან ხუთმა ტრაილერმა ჩამოიტანა სატელეფონო სადგურების მოწყობილობა. ხელშეკრულების მიხედვით თურქეთის ფირმები „ტელეტაში" და „კორუმი" აჭარაში დახერგავენ კავშირგაბმულობის ახალ სისტემას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რეგიონის ტელეფონიზაციის დონეს და მაქსიმალურად დააკმაყოფილებს ავტონომიური რესპუბლიკის მოთხოვნილებებს.

ფირმა „ტელეტაშის" მიერ შემუშავებული ტელეფონიზაციის რადიოხაზის სისტემა, რომელსაც ხელს არ უშლის არც ამინდის, არც ბუნების პირობები, ყველაზე მისაღებია აჭარის რელიეფისათვის. იგი ჩაერთვება კავშირგაბმულობის მსოფლიო სისტემაში. ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა ჩვენში იქმნება ახალი საწარმოები, ფირმები, რომლებიც ეძებენ და ურთიერთობას ამყარებენ სხვადასხვა ქვეყნის საქმიან წრეებთან.

თამაზ გენძეხაძე.

ფრანგების უპირატესობით

პოპულარული ავტორალის — პარიზი-დაკარის მონაწილეებმა უკვე 5 ეტაპი განვლეს.

ჯერჯერობით რბოლას ტონს ფრანგები აძლევენ.

პირველ ადგილზეა ბრუნო საბი („მიცუბისი"), რომელიც 1 საათითა და 38.24 წუთით უსწრებს თანამემამულე პიერ ლარტიგს („სიტროენი").

მოტოციკლისტთა დავაში დაწინაურდა ფრანგი სტეფან პეტრანსელი („იამაჰა").

ტრასის სირთულეზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 154 „თავზეხელაღებულიდან", რომლებიც სტარტზე გამოვიდნენ, ბრძოლას უკვე დაახლოებით მესამედი გამოეთიშა.

გამარჯვება საშობაო ტურნირზე

კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს ქართული სპორტის მატიანეში ჩვენმა კარატისტებმა — „ავაზის" კლუბის ნაკრებმა (ხელმძღვანელი და მთავარი მწვრთნელი — ოთარ გრძელიშვილი) გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო საშობაო ტურნირზე 1975-1982 წლებში დაბადებულ ბავშვთა და მოზარდთა შორის.

ბალტიისპირეთის სარბიელზე ბრწყინვალედ იასპარეზეს ზურაბ ქოსაშვილმა, დავით ალავიძემ, ნიკოლოზ ბერიძემ, ბაკურ საჯაიამ, ბესიკ ტურაშვილმა, რიტა როთვილიაშვილმა და ლაშა კიკალეიშვილმა.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ოთარ გრძელიშვილმა ჩვენს კორესპონდენტს უთხრა, — მადლიერების გრძნობით გვინდა მოვიხსენიოთ „ავაზის" სპონსორები საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის საფრენოსნო კომპლექსის უფროსი ლევან გრიგალაშვილი, დეპარტამენტის რეკლამის ინჟინერი ნოდარ ვაშაკიძე და ფირმა „ნუციკოს" პრეზიდენტი თემურ სამთელაძე, რომელთა ძალისხმევითაც მოხერხდა გამგზავრება და უკან დაბრუნება კომერციული ავიარეისით თბილის-სანქტ-პეტერბურგი, გაერთიანება „თბილისთამბაქოს" გენერალური დირექტორი ელგუჯა ბუბუტეიშვილი, თბილისის თამბაქოს ფაბრიკის „ქართლის" დირექტორი გრიგოლ ჟორდანია, კომერციული ბანკის — „ივერთბანკის" მმართველი ოთარ თოხაძე, რომელიც კლუბის საპატიო პრეზიდენტიცაა და სადაზღვევო კომპანიის „ახკოს" თავმჯდომარე რამაზ ფირცხალავა, რომელმაც ამ ტურნირზე ჩვენი გუნდი დააზღვია და ნაწილობრივ დააფინანსა.

სურათზე: „ავაზის" მწვრთნელი ოთარ გრძელიშვილი აღსაზრდელთა ერთ ჯგუფთან ერთად.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული თბილისის მევენახეობა-მეღვინეობის, ხილ-ბოსტნეულის წარმოების, შენახვა-გადამუშავების, საქონელმცოდნეობისა და სპეციალისტთა გადამზადების სასწავლო ინსტიტუტი და თბილისის ქიმიისა და კვების პროდუქტების ტექნოლოგიის სასწავლო ინსტიტუტი

ერთობლივად აცხადებენ მიღებას მოსამზადებელ და სპეციალისტთა გადამზადების (მე-2 სპეციალობის მიღების) დღის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე 1993-1994 სასწავლო წლისათვის, შემდეგ სპეციალობებზე:

1. მევენახეობა-მეღვინეობის აგრონომ-ინჟინერ-ტექნოლოგი — საქონელმცოდნე.
2. ხილბოსტნეულის წარმოებისა და შენახვა-გადამუშავების აგრონომ-ინჟინერ-ტექნოლოგი — საქონელმცოდნე.
3. ეთეროვანი ზეთების ინჟინერ-ტექნოლოგი.
4. პურის, მაკარონის, საკონდიტრო ნაწარმისა და კვების კონცენტრატების ინჟინერ-ტექნოლოგი.
5. სამადუღრე წარმოების ტექნოლოგია და მეღვინეობა.

მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები; ასევე დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები.

სპეციალისტთა გადამზადების განყოფილებაზე (მე-3 კურსზე) მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები.

ყოფილი სსრკ-ს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ინსტიტუტში გადმოყვანილი იქნებიან გასაუბრების საფუძველზე.

სწავლა ფასიანია. საბუთები მიიღება — 1993 წლის 11 იანვრიდან 25 იანვრამდე. სწავლა დაიწყება 1 თებერვლიდან. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის № 6 (ვაშლიჯვარა, ავეჯის სახლის გვერდით), ტელ.: 51-10-22; 51-70-89; 51-68-98;
2. ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის № 8, ტელ.: 95-80-67.

მთავარი რედაქტორი ზურაბ მოზიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, 8, კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

შეკვეთა 6643.